

# საქართველოს მოამბე

№ 3

**შინაარსი:** საქველმოქმედო საზოგადოება—ლ—ისა; ჩემი მელოდია, ლექსი—ი. გრიშაშვილისა; ჩვენი თეატრის ბელ-იღბალი—მ. ღამბაშიძისა; ქართული ენა ქართულ თეატრში—ალისა; მიონა, ლექსი შანშიაშვილისა; \* (გეტედან) ლექსი ამირაჯიბისა; სანდრო ქართველიშვილის სამუშაო დღე—მ. შ—ნისა; სიყვარულის ფილოსოფია, (შელ-ლი), თარ — გეგიაშვილისა; „სად არის ჭეშმარიტება!“... ლ. მებრძოლისა; საფრანგეთის ეროვნული სიმღერა— კოლ დუშაინისა; ჩვენი პრესა; ქართულ სამართლის ის ტორია—ი. ჯავახიშვილისა; ნარვეგი.

15 ნოემბერი.

კერძო საზოგადოებრივი, სამეც. ღ სალიტ. ჟურნალი

1909 წ.

## საქველმოქმედო საზოგადოება.

წინათ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დღეს ჩვენ-ში დიდი გასაკვირია. შიმშილი კარზე მოგვადგა და მისი თანამხლებელიც: სხვა და სხვა ავადმყოფობა, რომელიც ხალხს მუსრს ავლებს. ასეთ დროს საკვირაო მთელმა ერმა, მდიდარმა და ღარიბმა თავისი შეძლების მიხედვით გაქირავებულთ დახმარების ხელი გაუწვდინონ. ხოლო რომ ასეთმა დახმარებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს, ამისათვის მას არ უნდა მიეცეს შემთხვევითი ხასიათი. უნდა იყოს დაწესებული, რომელსაც გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს, თუ სად რა გაქირავება, რომელ კუთხეს უფრო უჭირს, და აი წინასწარ შესწავლის და გათვალისწინების მიხედვით უნდა აწვდიდეს შესაფერ დახმარებას. იმავე დროს ის უნდა ცდილობდეს ხალხის ქველმოქმედებითი მისწრაფება გამოიყენოს და დასახმარებელი საშუალება შეაგროვოს. ჩვენ, ქართველებს, დღემდის არ გვქონია ასეთი დაწესებულება, მაგრამ სწორეთ სამი წლის წინად დაარსდა, „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება“ ამ საზოგადოების წესდებაში ვკითხულობთ:

§ 1 ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებას განზრახული აქვს ხელი შეუწოდოს ქართველთა ნათესავის მდგომარეობის გაუმჯობესებას კავკასიის სანამესტრიაში.

§ 2. თავისი განზრახვა სისრულეში რომ მოაყვანოს, საზოგადოება:

ა, ხელს უწყობს სისარგებლო და საჭირო მიწათმოქმედებისა, ვაჭრობის მრეწველობისა და საფაბრიკო-დნის ხალხში გავრცელებას;

ბ, მოაწოდებს ღირსეულ ხალხისთვის ხელმისაწვდომ კრედიტს.

გ, გაჭირვებულებს ხელს გაუმართავს საქმის შოვნით;

დ, დაზარალებულებს დახმარებას გაუწევს უბედურებისა, შიმშილისა, გადაშენებულ სნეულებისა, ტეტხლისა, სეტყვისა, წყალდიდობის დროს;

ე, საჭიროების დროს სანიტართა გუნდებს შეადგენს, ანუ გაუზრუნავს თავის რწმუნებულთა ეოველთვის ადგილობრივ მთავრობის ნებართვითა;

ვ, უკიდურეს შემთხვევაში გაჭირვებულებს აღმოუჩენს ფულად დახმარებას

ზ, გაჭირვებულთათვის მართავს სამუშეო, საფად-მეფეო და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებს.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებას მეტად ფართო და სპატიო ასპარეზი აქვს. აქ მხოლოდ უბრალო ქველმოქმედება არ არის, აქ მიზნად დასახულია ხალხის ქონებრივი ცხოვრების გაუმჯობესება, ხალხში სასარგებლო ცოდნის გავრცელება. იმედი უნდა გვქონოდა, რომ ასეთი ყოველად სიმპატიური საზოგადოება ადვილად დაიმსახურებდა ჩვენს გულწრფელს სიყვარულს და ყოველი ჩვენგანი ეცდებოდა, რომ მისი წევრი გამხდარიყო და შესაფერი დახმარება აღმოეჩინა. მაგრამ სად არის თვით საზოგადოება? სადაა მისი გამგეობა? გადის სამი წელიწადი და ამ საზოგადოების შესახებ არაფერი გვემის. თუმცა წესდების მეთერთმეტე მუხლში ვკითხულობთ, ჩვეულებრივი კრებები იმართება ყოველწლივით, მაგრამ რამდენადაც ვიცით, ჯერ ამ სამი წლის განმავლობაში ასეთი კრება არ გამართულა. ბატონებო! ასე ჩვენ ფონს ვერ გავალთ. დღეს უკვე უმაღლესმა მთავრობამ აღიარა შიმშილი ჩვენში და ცნობების შეკრებას შეუდგა- ასეთ დროს საქველმოქმედო საზოგადოებას დუმილი არ შეჰფერის. ხმა ამოიღეთ! საქმეს ხელი მოჰკიდეთ და ჩვენც გვიმსახურეთ.

ლ.

## ჩემი მელოდია.

—:~\*~:—

მზემ სხივი მნათა  
შემოანათა  
ტკბილად, ნაზათა  
ჩემს მიმქრალ კერას, ჩემს ობოლ სარკმელს?  
\* \*

არა მსურს შუქი,  
ურვა მსუბუქი,  
მიყვარს ქარ-ბუქი;  
ვეამბორები სამარეს შავ-ბნელს!  
\* \*

ველტვი ჯოჯოხეთს,  
წყვლიადს, უკუმეთს,  
ვსვამ შხამ-გესლის წვეთს!  
ვით უკვდავების ნექტარს-სანატრელს!




\* \*

მიყვარს სიბნელე,  
თვალთა სისველე,  
კაემნის ღელე;  
მიყვარს ტრემლები, თაყვანს ვცემ ნალევლს!

\* \*

მაშ რისთვის, რათა  
შემოანათა  
ტკბილად, ნაზათა  
მზემ თვის სხივები ჩემს მყუდრო სარკმელს?!  
**ი. გრიშაშვილი.**



**ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი.**

ბევრი ნაკლი სჭირს ჩვენს თეატრს—ამას დიდი ხანია ყველა გაიძახის, მაგრამ ეს კერძო, თითო-ოროლის სამდურავი სამდურავადვე რჩება და საქმეს მაინც წინმსვლელობის ნიშანი ცოტა ემჩნევა.

დაიწყება სეზონი, შეიქმნება ერთი მითქმა-მოთქმა რეპერტუარის განახლებაზედ. თეატრის გამოცოცხლებაზედ, ახალი ძალების მოწვევაზედ და ბოლოს საქმე ისევ ჩვეულებრივის კალაპოტით მიმდინარეობს, სუსტად, ნელის ნაბიჯით და უფერულად. ერთ გამგეობას მგორე გამოენაცვლება, ახალი გგუფი ახლის იმედით იწყებს საქმეს, ვითომ სცილილობს ყოველგვარ ნაკლის აშორებას, მაგრამ, უიმედობით ძლეული, ისიც ემონება საერთო უფერულობას... შემდეგ იწყება ჩვეულებრივი სამდურავი: „თეატრში ხალხი არ დადის, საზოგადოება ნაკლებად ესწრება“, და სხვ...

გამგეობა სასოწარკვეთილის იმედით სხვას უთმობს ალაგს, და ახალიც ვერ ახერხებს იმ დაბრკოლების გადალახვას, რაც მისათვის ძველს გამგეობას უანდერძებია...

დრამატიული გამგეობა და მსახიობები საზოგადოებას ემდურებიან გულგრილობისათვის, საზოგადოება-კი მათ ემდურის უფერულ წარმოდგენებისათვის. ამნაირად ყოველ სეზონს საგრძნობელი ზარალი მოჰყვება ხოლმე: დრამატიულ საზოგადოებას დიდი ვალი ედება, მსახიობთ თორმეტი თვიდან შვიდი თვე შიმშილობა უდგებათ და საზოგადოებაც თეატრს შორდება, საკუთარ სცენას გაურბის. საქირთა არაჩვეულებრივი რამ მოვლენა, ან განსაკუთრებული, თითქმის ნაძალადევი მოწვევა, — რომ თეატრი ითვისოს და წარმოდგენას ხარჯს გარდა შემოსავალიც რაზე გადაჩქეს.

კარგა ხანია ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი თეატრი და ვერ ვგეგმობთ არც უჩინს ბოლო მის უიმედობას. წინად ძველ შენობას აბრალებდნენ, შემდეგ იმას, რომ ქართულ თეატრს საკუთარი შენობა არა ჰქონდა. ეხლა დიდი ხნის ოცნება აგვიხდა,

ახალ შენობასაც ველირსეთ, მაგრამ ყოველივე მაინც ჩვეულებრივად დარჩა. როგორცა სხანს უფრო ღრმად ჰქონია გადგმული ფესვები იმ მიზნებს, რასაც მუდამ შეფერხების გზაზედ უტარებია ჩვენი თეატრი...

ჩვენ არ ვკისრულობთ ყოველ მხრივად ამის გამოკრეცვას—ეს მეტად ვრცელი და რთული საგანია. მხოლოდ შეგვხებით ერთ-ერთ მხარეს თეატრის ნაკლებივანებისას, რომელსაც მეტად ცუდი და საგრძნობელი ზიანი მოაქვს ჩვენთვის და რომელიც სხვა ნაკლებივანებისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი სამწუხარო შედეგი წარუხოცელი და აღმოუფხვრელი დარჩება სამუდამოდ, თუ ეხლავე რამე არ ვიღონეთ.

რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ხალხისათვის თეატრს—ეს ყველასათვის ისედაც ცხადზედ უცხადესია. ჩვენი ერი არც ისე ჩამორჩენილია, რომ ეს არ ესმოდეს. მაგრამ ჩვენისთანა პირობებში მყოფ ერისათვის თეატრს გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც მეტი ყურადღება და მეტი სიფრთხილე უნდა ამ დარგს! გარდა იმისა, რაც საზოგადოდ ყოველ თეატრს მოეთხოვება, ჩვენ თეატრს კიდევ ერთი დიდი მოვალეობა აწევს, მეტად საქირთა და დიდ-მნიშვნელოვანი: იგი უნდა იყოს ქართული ენის გამავრცელებელი დაწესებულება. ამ მხრით მას უნდა შეეძლოს სასწავლებლის მაგიერობის გაწევა. როდესაც დედა-ენა ყველგან და ყველასაგან ასე უაჯაოდ დევნილია, როგორც მაგალითად ჩვენში, მით უფრო მეტი მოვალეობა ეკისრება თეატრს ენის გავრცელების საქმეში. აქ უნდა ისძოდეს ისეთი წმინდა, გამოუმეტყველი და ცოცხალი ენა, რომ მსმენელის ყურსა და გრძნობას საამოდ ხედვობდეს. თეატრის კარგი ენა, ენის მცოდნეს უნდა ატკობდეს და უცოდინარს შესწავლის სურვილს უღვიძებდეს.

ეს თვისება დიდსა და დაწინაურებულ ქვეყნებსაც-კი თეატრისათვის აუცილებელ საქირთებად მიაჩნათ. ამიტომაც უცხოეში სცენიდან მხოლოდ საუკეთესო და მშვენიერის კილოთი მოქარგული ენა ისმის. ეს სავალდებულოდ მიაჩნია ყოველ ავტორსაც და მთარგმნელსაც და ამასვე უპირველეს მოთხოვნილებად ისახავს მსმენელი საზოგადოება. ყოველი მსახიობი ენის საუკეთესო მცოდნეა. როდესაც ვისმეს ჰსურს ენის შესწავლა, საუკეთესო კილოს მოსამენად თეატრში მიდის და იქ აჩვენებს ყურს ამ ენას. და ეს ასედაც უნდა იყოს.

მაგრამ ჩვენში-კი სამწუხაროდ ბევრ სხვა რამესთან ესეც გაუკუღმართებულია. ენის სასწავლებლად რომ ვინმე ჩვენს თეატრში წავიდეს—ძალიან ცუდს გაკვეთილს მიიღებს, და ვერც არას ისწავლის; და თუ მცოდნეა ენის, მაშინ ხომ ესთეტიური სიამოვნების მაგივრად დიდი უსიამოვნება უნდა



განიცადოს. თითო-ორი პიესის გარდა არც ერთი პიესის ენა არ არის მოკლებული მრავალ შეცდომასა და ნაკლებეფანებას. მეტადრე თუ პიესა თარგმნილი ან გადმოკეთებულია, მაშინ ხომ ეს ნაკლი თითქმის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ქართული ენის კილო და ხასიათი თითქმის არსად დაცული არ არის!..

მაგრამ მართა ენა და კილო არ არის ნაკლოვანი ამ გადმოღებულ, ვითომდა გადმოქართულებულ პიესებში. თვით მოქმედებაც მეტად უშნოდ და უხეიროდ არის შეფარდებული ჩვენს ცხოვრებასთან. თუ სახელი და გვარი გადმოქართულებულია და აქა იქ ჩვენი კუთხის ზოგიერთი ადგილებია მოხსენებული, პიესის მთარგმნელს ეს უკვე გადმოქართულებად მიაჩნია და იგი დანარჩენს ყოველივეს უცვლელად სტოვებს. ასე უხეიროდ გადმოქართულებულ პიესების რიცხვი სამწუხაროდ მეტად დიდია ჩვენს რეპერტუარში და მათი რიცხვი თან-და თან უფროც მატულობს. მეტადრე სათარგმნელ და გადმოსაკეთებელ მასალად უფრო რუსულ პიესებს იხდიან, რის ზედგავლენაც მეტად და მეტად ემჩნევა ჩვენს თეატრს. არავინ დასდევს არც ბუნებისა და ხალხის სხვა და-სხვაობას, არც ზნე-ჩვეულების, ხასიათისა და სულიერ თვისებათაგან განსხვავებას,—ოღონდ-კი როგორმე გადმოითარგმნოს და ამას გადმოქართულებად სთვლიან ჩვენი მთარგმნელები...

ამნაირად სხვა ცხოვრებაზედ აგებული მოქმედება, სხვა ენის კანონებზედ ჩამოყალიბებული თარგმანი, რასაკვირველია, ყველაფერს ემგვანება გარდა ქართული ცხოვრებისა და ქართული ენისა. ასეც არის: არც დედანს ჰგავს ასეთი თარგმანი და არც ქართულ ცხოვრებას ახასიათებს. ორივეში გამოსხვებული, როგორც უხეირო ნაწარმოები, მხოლოდ უსარგებლო და უმნიშვნელო ბარგად აკიდებულია ჩვენის თეატრის ისედაც ღარიბ რეპერტუარისათვის.

მაგრამ ხანდახან თარგმანიც რომ ვარგოდეს, თვითონ პიესა არის ხოლომე მეტად სუსტი და უმნიშვნელო. სათარგმნელ პიესას უაუოდ რაიმე თვისება უნდა ჰქონდეს ისეთი, რომ ეს ღირსება სხვა უცხო ერისთვისაც საგულისხმოს რასმე წარმოადგენდეს. თუ ამასაც მოკლებულია დრამატული ნაწარმოები, მაშინ იგი რჩება მხოლოდ ერთ განსაზღვრულ ფარგალში და მსოფლიო ცნობის-მოყვარეობას ვერ იწვევს. ამგვარი პიესები ყოველ ხალხს აქვს და ადგილობრივ მნიშვნელობას მათ ვერავინ ვერ გამოსწირავს. ჩვენ მთარგმნელებს-კი ჰგონიათ, თუ-კი რომელიმე პიესა იქნება ნათამაშევი რუსეთის სცენაზედ, უთუოდ ჩვენს სცენასაც უნდა გამოადგეს. ამიტომაც დაუყონებლივ სათარგმნიან იმის-და განუჩვენებლად საგულისხმო იქნება ეს ნათარგმნი ან გადმოკეთებული რამე ქართულ სცენისათვისაც თუ არა...

ეს ნაკლი დიდი ხანია დასჩემდა ჩვენს თეატრს და ამ მხრით მისი არჩევანიც ცალკეობდა და ფარგალიც მეტად შეზღუდული.

ესლა რომ დაუწყვირდეთ ჩვენი მსახიობების კილოსა და ენას, რას შევნიშნავეთ? სამწუხაროდ, ქართული ელფერი ნაკლებად ეტყობათ, ქართული ენის ცოდნა ქართველ მსახიობთ თითქმის საჭიროდ არ მიაჩნიათ: კილო, გამოთქმა, ხმის ამაღლება—სრულებით ქართული არ არის. თითქმის ყველას აშკარად ეტყობა, რომ ეს ენა მათ სამუდამო სასაფარჯიშო ენას არ წარმოადგენს. და როდესაც ადამიანი მხოლოდ რეპეტიციებისა და წარმოდგენების დროს გაიხდის ამ ენას სალაპარაკო ენად, რა გასაკვირველია, რომ მას იგი არ ეხერხებოდეს და არ ეადვილებოდეს. იციან ძალიან კარგად, რომ საერთოდ საზოგადოება ამ დარგს ყურადღებას არ აქცევს, რამდენიმე პირთა საყვედური-კი მათ არაფრად აშინებს. პრესაც, რასაკვირველია, საიმისოდ არ დასდევს ამ ნაკლებეფანების აღნიშვნას. თუ ვინმე მსახიობი ხმარობს ხელსა და ფეხს სცენაზედ უშნოდ, ამისათვის უთუოდ რეცენზიის დამწერი დიდს საყვედურს უძღვნის მსახიობს, მაგრამ თუ იმავე მსახიობმა მთელი წარმოდგენის განმამავლობაში ქართული ენა და კილო უაჯოდ დაამახინჯა—ეს არავის ნაკლად არ ჩამოერთმევა. რამდენჯერ უკიჟინიათ მსახიობთათვის როლის უცოდინარობა და ენის უცოდინარობისათვის-კი მათთვის შენიშვნა არავის მიუცია. ჩვენის აზრით-კი ეს შეუწყნარებელი ცოდვაა. როლის უცოდინარობას საკმაო გამეორებით აიცილენს ადამიანი, ხოლო ენის უცოდინარობას-კი, მეტადრე ჩვეულებად დასახულს, ვერც ადვილად არაფერი ეშველება. ამიტომაც ჩვენი სცენიდგან დამახინჯებული ქართული ენის გაგონება უკვე ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარა და ეს ბევრს არაფრადაც აღელვებს.

ყოველივე ზემოხსენებული „არ ახალია, ძველია“—მაგრამ ოდესმე ხომ მაინც უნდა მიეცეს დასასრული ასეთ უკუღმართობას და ნაკლებეფანების დაკანონებას, თუ არ გარდავიწყებთ ერთ წერტილზედ უძრავად შეჩერება და სულ უიმედობის ქაობში ჩაფლვა.

ამისათვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი:

1. დავალოს ყველა ჩვენ მსახიობს ქართული ენისა და კილოს შესწავლა. ზოგიერთს ეს შეიძლება უცნაურობად დანაგვიანებადაც ეჩვენოს, მაგრამ ეს აუცილებლად საჭიროა.
2. გაიწმინდოს ჩვენი თეატრის რეპერტუარი. ყოველი პიესა, მეტადრე ნათარგმნი და გადმოკეთებული, შესწორებულ იქმნას,—ენი სმკოდნეთაგან. მხოლოდ შესწორებული პიესა და ენის მკოდნეთაგან მოწონებული უნდა იქნეს შეტანილი წარმოსადგენ პიესათა ნუსხაში. დანარჩენი-კი უკუგდებული იქმნას, როგორც უვარგისი და გამოუსადეგარი მასალა.
3. რეპერტუარი უნდა განახლდეს საგულისხმო პიესებით და არჩევანიც მათი უფრო დაკვირ-



ვებულო და წინდახედული იქნეს. მიეჭკეს ყურად-  
ღება უფრო უცხოეთის რეპერტუარს, ვიდრე  
მხოლოდ რუსულს.

4. დაინიშნოს პრემიები საყურადღებო პიესე-  
ბის სათარგმნელოდ.

5. თუ ეს ყველაფერი განხორციელდა და მა-  
შინაც საზოგადოებამ მეტი ყურადღება არ მიაქ-  
ცია ქართულ თეატრს, მაშინ მართლაც დაღუპუ-  
ლად უნდა ჩაითვალოს ასეთი საზოგადოება და  
იგი ზნეობრივ ბრალდებისაგან თავს ვერ გაინთა-  
ვისუფლებს. მაგრამ მაშინაც დრამატიული საზო-  
გადოება და თეატრის მოყვარულთა მცირე ჯგუ-  
ფი ვერ შესწყვეტენ მუშაობას, გულს ვერ გაიტე-  
ხენ ეხლანდელი საზოგადოების უყურადღებობით,  
რადგანაც თანამედროვე საზოგადოება დროებითი  
და მსწრაფლ-წარმავალია, ისე როგორც მათი უფე-  
რულობა საზოგადო საქმეში, ხოლო მომავალი ყო-  
ველთვის უფრო ფხიზელთ და ძლიერთ ეკუთვნით,  
რომელთაც, აშკარაა, საუკეთესო მომავალიც ექნე-

ბათ და იმდენი უნარიც რომ ეხლანდელი სასარ-  
გებლო მუშაობის ნაყოფი უზვად მოიხვეჭონ. აი  
ამათთვის გაწეული შრომა ყოველთვის ნაყოფიე-  
რად და მნიშვნელოვანად ჩაითვლება და აწყყოს  
უფერულობა რიგიან მუშაკთ სასარგებლო მუშა-  
ობას ვერ უნდა უშლიდეს.

ერის სიცოცხლე და არსებობა ისე მსწრაფლ-  
წარმავალი არ არის, როგორც ზოგიერთებსა ჰგო-  
ნიათ. და თუ თანამედროვე საზოგადოება დუბჭი-  
რი და გულ-გატეხილია, ეს კიდევ იმას არ მოას-  
წავებს რომ მომავალი ქართველობაც უთუოდ ასე-  
თივე უნდა გამოვიდეს. ჩვენ გვრწამს, რომ ბედი  
ისევ გაუღიმებს ჩვენს ერს და თუ თანამედროვე  
საზოგადოება ვერ ისარგებლებს განახლებულის თე-  
ატრით, მომავალი მაინც მადლობით მიიღებს მის  
წინაპართა ნაპირნახულებს.

ვუსურვებთ ჩვენს თეატრს ასეთ განახლებას  
და ყველას, ვისაც-კი საამისო მუშაობა შეუძლია,  
ამ ახალ მუშაობაში მონაწილეობის მიღებას.

გ. ღამბაშიძე.



ქართული ენა ქართულ თეატრში.

(რეცენზიის მაგიერად)

ქართულ თეატრში ნამდვილ ქართულ ენისა და ქართულ კილოს მაგიერათ ყოველნაირ კილო-  
სა და გამოთქმას გაიგონებთ. ერთი ჩოხატაურულათ უქცევს, მეორე შორაპნულათ, მესამე ქართულ-  
რათ (და არა ქართულათ) და მეოთხე კიდევ რუსულათ. მაგრამ კილოს ვიღა ჩივის, საანბანო გრაჰა-  
ტიკული კანონებიც კი არა სწამთ და ყოველ ნაბიჯზე ისეთს შეუსაბამობას წამოისვრიან ხოლმე,  
რომ ქართულ ენის მოყვარულს ორივე თითი მუდმივ მზათ უნდა ჰქონდეს ყურების დასაცობათ.

ამას წინათ ერთი პიესა მოვისმინე და განვიზრახე არტისტთა თამაშის მაგიერ აღმენიშნა თვისებანი  
და კანონნი მათის ენისა. მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ბოლომდე ვერ მივალწიე და მათ მიერ გამო-  
გონილ ახალ ქართულიდან მხოლოდ მეთათედი ნაწილის ჩაწერვა მოვასწარი. მაგალითები:

ს თ ქ ვ ე ს

პირი ნუ დაგილია  
ამას რას დააკლებს ჩვენი კბილები  
მაგის გამოთა  
კარგი მოხუცებული ხარ  
აბა ერთი შემომხედე მე  
საყვედურებს მეუბნებიან  
აბა ერთი ჩემამდე მოიყარე  
მე გემზე მივალ (თან სცენიდან გადის)  
აჯობებს რომ დაივიწყოთ  
ქალაქიდან  
ადამიანები მუსრავენ ცხოველთ, უფალი კი-  
დევ ადამიანთ  
გაფანტე ევ შენი შავი ფიქრი  
გემები იღუპება  
აღარ გილოცამ  
შენ ჯავრდები  
რამდენი გემები მოსულან

მართო შენ აქ ხომ არა ხარ

უბედურათ ვგრძნობ თავს  
ნუ უჯერო  
ყურადღებას ვეცდები არ მოგაკლებთ

კიდევ ვიმეორებ: ეს მხოლოდ მეთათედი ერთ პიესაში აღნიშნულ შეცდომებისა, მაგრამ ესეც  
მშვენიერათ ასახულებს ამავე ნომერში დაბეჭდილ ბ. ღამბაშიძის წერილს.

ალი.

Handwritten notes in the left margin, including a signature and some illegible text.



## მიონა (ფერია)

მწვანე ტყის პირას იას ვკრეფავდი,  
 ბუჩქიდან ბუჩქზედ გადავდიოდი;  
 ცოცხალ ყვავილის გვირგვინს ვიწნავდი  
 და თან ვმღეროდი, ბედსა ვჩიოდი:  
 „მას ერთს ვეტრფოდი,  
 „მისთვის ვსტიროდი,  
 „ვითანჯებოდი  
 „ნეტა სად გაჰქრა  
 „სწორი გულისა,  
 „მიზანი ჩემის  
 „სიყვარულისა?!..

—„მე შენში ვცხოვრობ, ჩაგეკსოვე, ვარ განუყრელი,  
 ქირში თუ ლხინში სანეტარო და სანუკველი!“  
 —ვინა ხარ, მითხარ!

—„ვარ მიონა, შენი მომღვინი!“  
 კვალ და კვალ მივეყე, შემიტყუა ტყესა დაბურულს,  
 იდგა სიჩუმე... არ ვისმენდი წყლის ნელსა დუღუნს!

ძილი ფრთას ჰშლის... ირგვლივ ბნელა... სიო სკრის და არხვეს ფოთოლს;  
 ნანას უმღერს ნაძვს ნიავე უთვისტომოს, სულით ობოლს.  
 ჩუ! საბრალოდ ვიდაც კენესის... ვისი ხმაა, ვინა ჰგოდებს?  
 ცოდვებს აწ ვინ ინანიებს, ვის რა სტანჯავს, რა აშფოთებს?  
 ოჰ, მიონავ! გიცან! გიცან! მე შენს ლოცვას მოგეკარ ყური;  
 რად წამგლიჯე, რად წარმტაცე ორძალი და სალამური?  
 ჩემო სულის საიდუმლოვ, სხვას რად ასმენ გამოძახილს?  
 რისთვის უმღერ ჩემს სიმღერას უგუნურ ბრბოს, შურით აღვსილს?

მიონა! მიონა! მიყვარხარ, ჩემი ხარ!  
 მოფრინდი! შენც ჩემებრ ტანჯვასა სჩვევიხარ!  
 ეთერის ხატებას შენსას ვინ მისწვდება?  
 მგოსანი შეგიტკობს, ერთგული იქნება!  
 მიონავ ნათელო! გაფრინდეთ სხვა მხარეს!..  
 შავი ტყე მომიდნობს, გამითხრის სამარეს.

შენ ხარ სიცოცხლე, მოქარგული ვარდ ზამბახებით,  
 შენ ხარ მშვენება, ხარ სინათლე და სათნოება,  
 ოცნების აღთქმავ! უნდა დაპრჩე მარად ქალწულად,  
 მიტომ მიყვარხარ, მიტომ გული შენ გემონება;  
 ხან მწვავ დე მაგზნებ, ხან საბრალოდ მაქნობ, მანელებ,  
 მითხარ, ღიმილით სულს რად მიკლავ, რისთვის მადღონებ?

მიონა, მიონა! ოცნების შვილია,  
 შიშველი, სპეტაკი, დალალთ შლილია!  
 მწყობრის ხმით მიმღერა ნანინა გრძნეული;  
 მას შემდეგ ტყვიდ ვყევიარ, ვით მონა ძლეული.  
 ჩემს გარდა ასული, ვერცა ყრმა იხილავს;  
 მიონა მაცოცხლებს, მიონა დამმარხავს!

ამბორის ყოფად მიველ ახლოს, მოვხვიე ხელი  
 და რა ვაკოცე მსწრაფლ მის სახეს გაჰქრა ნათელი.  
 ვგრძნობდი, ჩემს მკერდსა მოყრდნობილი ნამად დნებოდა,



საღლიც მიჰქროდა... მიფრინავდა... მეთხოვებოდა!  
 ჰე უკვდავებო! რაღა მტოვებ, ვინ მცეს ნუგეში?  
 გზას ვინ გამოიკვლევს? ვის მივმართო უღაბურ ტყეში?

დავრჩი მარტოა... ჰყინავს ზამთარი!  
 ვიზრბი! არ მასვენებს ავსულთ ხარხარი!  
 ქარი ზუზუნებს... ქარი სისინებს...  
 ჰსუსხავს მთის სერებს... მგზავს არ მასვენებს...  
 თან გვიპს დასტირის კუბოს მდებარეს,  
 ერთს დროს სულმნათსა, ვნებით მღელვარეს...  
 მთას თოვლი მოსწყდა მაღალსა მწვერვალს,  
 გრგვინით და რისხვით დაბლა მოგორავს.  
 გათხრილს სამარეს გადევნება  
 ბრწყინვალე ძეგლად აღიმართება!  
 ქარო საზარო, მითხარ, ვის ჰგლოვობ,  
 უბედურობას რომლისას მამცნობ?  
 ვაგლახი ვიგრძენი და ავკანკალიდი,  
 შავს სამარის წინ მარტო მე ვჩანდი.  
 კუბოდ შემეკრა ჩემივე გვაში  
 და სულს ჰმარხავდა თოვლისა ზვაფი.  
 აჰა, დამჩხავის ყვაფი, ყორანი,  
 ცოცხალს გულს მიკრავს ყინვის საფლავი!

*მ. მამიაძე*

\* \* \*  
 (კეტეღან)

ვილოდი ტყეში  
 ფიქრთა ამარა—  
 რომ მის წილსა  
 მეძებნა არ რა.  
 ჩრდილში შევნიშნე  
 ყვაფილი მდგარი,  
 ვარსკვლავებრ მბრწყენი,  
 თვალთა სადარი.  
 მსურდა მოწყვეტა  
 რომ მითხრა მანა:  
 უნდა საქნობად  
 მომწყვიტო განა?  
 მოვსთხარე იგი  
 ფესვებით თანა,  
 გადავრგე ბაღში  
 ტურფა სახლთანა.  
 და ჰყვავის კვალად  
 მყურდროსა იდვილს,  
 იფურჩქენს მარად  
 და ისხავს ყვაფილს.  
 შ. ამირეჯიბი.

**სანდრო ქართველიშვილის საფუძვალ დღე.**

(გაგრძელება)

სანდრო მიეჩქარებოდა რედაქციაში — რედაქცია შორს იყო, ამიტომ გადასწყვიტა ტრამავაით წასულიყო, და ამ ალაგს მიაშურა, სადაც ტრამავა ჩერდებოდა, მაგრამ დაინახა რომ ქუჩას მეორე მხარეზე ერთი მისი ნაცნობთაგანი ჩქარის ნაბიჯით ტრეტურსზე მიდიოდა და სანდრომ ჯერ შორიდან ქუდი მოუხადა, შემდეგ რაღაცა მოითქვა და ნაცნობს გაშეკვიდა.

— მისაკო, მისაკო! — მისძახოდა სანდრო და თითქმის მირბოდა.

ნაცნობი შეჩერდა და ცდა დაუწყო.

— გამარჯობა, გამარჯობა, მისაკო! სით მიდიხარ? აქეთ? მუც აქეთ მივდივარ, წავიდეთ ერთად — სანდრომ მკლავში გაუყარა ხელი და თან განუწყვეტლივ უღაზარაკებოდა — სხვა, როგორ ხარ? სვიმონიშვილი არსად გინახავს? სადა ხარ? არსად სჩანხარ! შენი უკანასკნელი წერილი წავიკითხე, მშვენიერობა რამ არის, საგანგებო ექსპრესიითა დაწერილი, მხლად, მაპატე მიხსავო, ერთი რამ არ მომეწონა შენს წერილში.

— მაინც რა? — დადგრემილი სხვით შეეკითხა ნაცნობი.

— შერე გეტყვი. საზოგადოდ მაგ საგანზე მინდა მე შენ მოგკლავარაკო. გაიკე, ჩვენმა ივანეშვილმა რა ჩაიღინა გუშინ კრებაზე? იმისთანა შოფინისტური აზრი გამოსთქვა, რომ უგელანი გავერგებაში დაფრნით. ზირდაზირ ადგუაშფოთა უგელანი, სწორედ გითხრა მე ვე-

დარ მოვითმინე, წამოვდექი და სულ ტყავი გავაძერი, ან, შენ ვერ წარმოიდგენ... ააა, ჰეტრეს გაუმარჯობს, გამარჯობა, გამარჯობა — შეჰქვირა უცებ სანდრომ, ქუდი მადლა ერთ არშინზე ასწია და სანამ მისი მოსუბრე მიხვდებოდა, საქმე რაში იყო, სანდრო უკვე ქუჩის მეორე ტრეტურსზე იყო.

როგორ ხარ, ჰეტრე, სით მიდიხარ? აქეთ? მე რედაქციაში მივდივარ, დამოვიანდა. მაგრამ შენი ჩახვა ჩემთვის ისეთი სასიამოვნოა, რომ... გავიაროთ, სანამ ტრამავა შემხვდებოდეს, გაგაცილებ — უბნებოდა სანდრო დაბაღდაბად, ჯერ კიდევ ახლგახდა, მაგრამ უკვე გათეთრებული სანდრომან სხვის ემაწვილ კაცს. — მართლა, მაპატე, გუშინ დრამატულ საზოგადოების კრებაზე ვერ მოველ, ჩვენ სხვა კრება გვქონდა, წარმოადგინე, ჩვენმა ივანეშვილმა გუშინ ისეთი ხულიგანური სიტყვა წარმოსთქვა, რომ ვეღვა გავგაფცა, ძალიან შეტაკება მოგვივიდა მე და იმას. . რა ჰქენით? რა გადაწყვიტეთ გუშინ?

— კრება არ შემდგარა, სამი კაცი ვიყავით, არავინ მოვიდა და ათ საათზე დავიშალეთ — მიუგო იმან.

— ეგ ძალიან სამწუხაროა, ძალიან, რომ მტოდნოდა, უეჭველად მოვიდოდი, უეჭველად — სინანულით წარმოსთქვა სანდრომ — მართლა, შენი საქმე როგორ არის, აი იმის შესახებ... აი შენ რომ... ან, უკაცრავად, სხვამდის, მშვიდობით — სანდრომ საჩქაროდ ჩამოართვა ხელი და ჩქარის ნაბიჯით დაედგნა ერთ ახლგახდა ქალს, რომელმაც გვერდზე გამოუარა და დიმილით მიესალმა სანდროს.



— ჩემი გულის დამმონებელს ვახლავარ—დაეწია სანდრო ქალს.

ქალმა თავი მიიღო სანდროსკენ და კბელებზე გაუწოდა ხელი.

— შე თქვენზე ძალიან გულმოსული ვარ—ღიმილით უთხრა ქალმა.

— ჩემსედა? ჩემსედა ხართ გულმოსული?—არა, მაგას არ დავიჟებებ.

— გუშინ რატომ არ მოხვედით ჩვენთან, იცით, რამდენი ქალები იყვნენ, თქვენი სიმშატაც იქ იყო.

— შე თქვენს შუა სიმშატაც არა მყავს...

— ოჰ, კარგი, კარგი—მაინც რატომ არ მოხვედით.

— კრებაზე ვიყავი, არ შემიძლო—სერიოზულ კიდეზე გადავიდა სანდრო—ცოტა შე გამოვაკეთე საქმე, თორემ ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ისეთი ხელიცანური სიტუვას წარმოთქვა, რომ საქვეყნოთ თავი მოგვტრია ქართველებს, მაგრამ ჩემმა სიტუვამ გააქარწყლა შობებულება, რომელიც... სხვა, საით მიბრძნდებით ასე დილა ადრიახანა?

— როგორ თუ დილა ადრიახანა? თორმეტი საათია სრული!

სანდრომ გაკვირვებით შეხედა უმაწვილ ქალს, შემდეგ საათი ამოიღო და დასწავა;

— მართლა თორმეტი საათი უფიქლა...

უგატრფვად, დამიკვირდა... მშვიდობით, მშვიდობით... კნიაჟნა ნინოს ჩემი გულითადა სლადი... ნახვამდის—თან მიდიოდა და თან ის ეუბნებოდა:—სლადობზე მოდი, გელით!

— შოვალ, უთუოდ შოვალ, ნახვამდის!...

ზირველი საათი სრულდებოდა, რომ სანდრომ კარები შეაღო და რედაქციაში შევიდა.

ღარბად მორთულ ოთახში, ძველს, უშინო მაგიდასთან იჯდა მელოტი, სთვალუბიანი, უღამაზო სხნის კაცი და გაშმაგებული სწერდა. სანდროს ფეხის ხმაურობაზე, თავი შადლა აიღო და რა დანახა სანდრო, კლამი ძირს დასდო, უბედურ საათი ამოიღო და რიდაცის თქმა დააპირა, მაგრამ სანდრომ არ დაცალა.

— გამარჯობა, გამარჯობა, ჩემო კარგო, ცოტად დავიგვიანე არა? რა ვქნა, საქმეები მქონდა, ვერ წარმოიდგენ, რამდენი საქმე მაქვს, აბა ანგარიში: პირადი საფუხრო, საზოგადო, ახლა რამდენი მოულოდნელი საქმე გამოვიჩნდება. ხვალინდელ ნომრისთვის ხომ სკამი-ოღაა მისლა? არა?! შამ უნდა დავსწერო რამე? ახლა სწორედ გითხრა, ვერაფერს დავსწერ, თავი ისე მაქვს გაბრუებული, მერე ტანში მთლად მოშლილი ვარ. გუშინ კრებაზე არ იყავი? არ იყავი?! ვერ წარმოიდგენ იფანაშვილმა რა...

სათვალუბიანმა კაცმა უკმაყოფილოდ შეხედა სანდროს და გულის წერბითი სიტუვა გაწვევტიინა.

— რა დროს დაპირაკია! მერე საათია, ჩვენ კი ნახევარი ნომრის მისლა არა გვაქვს. უნდა დავადე ამ საათში და რამე დასწერო.

— დავსწერო? ახლა?!—გაიკვირვა სანდრომ და

ურის თქმა დააპირა, მაგრამ შეხედა რედაქტორის სხეს და უარი ვეღარ გაბოდა.— შეიძლება დავსწერო რამე, მაგრამ სად? შე თუ თავისუფალი ოთახი არა მაქვს...

— აი, ამ ოთახის უკან თავისუფალი ოთახია, შედი და იქ სწერე—უზახუსა რედაქტორმა—ჩქარა კი, ნუ აგვიანებ.

— კარგი, კარგი, ჩავიკეტები და ნახევარ საათში ისეთ წერილს გამოვაცხობ, რომ...—რადგან სანდრომ გადასწვვიტა წერილის დაწერა, გამხიარულა—იგი ცოტე, ჩვენი გაზეთი თანდათან პოულონს საზოგადოებაში თანაკრძობასა და სიმშატაცს. ბევრ კომპლიმენტს შეუბნებია... მართლა ახალი ამბავი გაიკეთა?...

— სანდრო, სანდრო, მაგვების დრო არ არის—საცოდავი სხნით უთხრა სათვალუბიანმა,

— კარგი, მივდივარ, მივდივარ—სანდრო წამოდგა და ხელში ქაღალდი და სწერ-კლამი აიღო—ოჰ, კინადამ არ დამავიწყდა, ჩვენ უნდა შოვალაპირაკოთ...

— მერე! მერე!—მევედრა სათვალუბიანი.

— მერე იქოს.—დაუთახანმა სანდრო და ცატრიალდა, მაგრამ უცბად შემოტრიალდა და მაგიდას მიუახლოვდა—რა თემაზე დავსწერო წერილი?

— რაც გინდა დასწერე, ოღონდ დასწერე კი!

— იგი რა?—მხიარულად შესძახა სანდრომ—გუშინდელი კრების შესახებ დავსწერ. იფანაშვილმა ისეთი ხელიცანური აზრი წარმოთქვა, რომ... პირდაპირი პროვოკაცია იყო ჩვენსა და ჩვენ უზობელ ერებს შორის... ამ პროვოკაციაზე დავსწერ!

— დასწერე, მხოლოდ შადე, შადე!—თავაუღებელი უზახუსა სათვალუბიანმა.

— ახლავე, ნახევარ საათში გავათავებ... ვანო, სად არის?—ერთხელ კიდევ შემოტრიალდა კარებში.

— არ ვიცი—წაიბურტყუნა იმან.

— დღეს არ მოსულა?

— არ ვიცი!..

— იქნებ, მერე ოთახშია?

სათვალუბიანმა ხმა აღარ გასცა—აბა, მივდივარ!—სანდრო სანქაროდ გავიდა და კარები გაახურა.

სანდრო რომ გავიდა, სათვალუბიანმა თავი უცბად შადლა აიღო, კლამი ძირს დასდო, ერთ ალაგს შეიმუშნა, კლამს ისევ უცბად დასტანდა ხელი და გამშაკებით იწყო წერა.

ერთი საათის შემდეგ სანდრო აღზგნებული თვალუბით და გაწითლებული სხნით შეხვით შემოვიდა ოთახში და მაგიდაზე დაწერილი ქაღალდის ფურცლები დაჭურა.

— გავათავებ!—შესძახა იმან—იცი, კარგად ვერ მომივიდა, თავი გაბრუებული მაქვს. წაიკობე, თუ შეტდობა იქოს, გასწორე, აზრიც შესწავლე თუ გინდა, გინდა კიდევ შეამოკლე, ჩამატება კი შეიანი არ დასწარდას. აბა, ეხლა მშვიდობით...

— სად მიდიხარ?—უკმაყოფილოდ ჰკითხა სათვალუბიანმა.

— არა მტლან, ძალიან სწორი საქმე მაქვს.



დამიგვიანდა... ნახვამდის!—სანდრომ დააგლო ქუდს სე-  
ლი და კარში გაგარდა.

საგაზეთო წერილის დაწერით სანდრო მეტის მეტი  
ნასიამოვნები იყო. ის ამაყად მიდიოდა ქუჩაში, კისერ  
მოღერებულა, ჩქარის, მოხდენილის ნაბიჯით და მარცხნივ  
და მარჯვნივ თავის ნაცნობებს გადაჭარბებული ზრდილო-  
ბით სალამს აძლევდა და ვეულის ტკბილი დიმილით  
აჯილდღავდა. არც ერთი ნაცნობა არ გამოეპარებოდა,  
ვინც შორს იყო, ქუდს უხდიდა, ვინც ახლო გაუკვლიდა,  
ვეულის აჩერებდა და ელაპარაკებოდა. ვეულისთვის მისი  
შესაფერი ფრანა ჰქონდა. ზოგს ტკბილი სიტყვით  
ასიამოვნებდა, ზოგს შეაქებდა, ზოგს ახალ ამბავს  
უამბობდა, ზოგს სასიამოვნო კითხვებს აძლევდა და  
პასუხის თქმასაც არ დაეცლიდა, უცნაურ განმარტებულად  
და ჩქარის ნაბიჯით მიიწეოდა წინ, რომ კიდევ ვისმე  
შეხვედროდა და ისევ ის ფრანები გაემურობინა, ისევე  
უსზროდ, უსარტებლოდ.

ბოლოს ის შევიდა ერთ უაგახანაში, კარებში გა-  
ჩერდა, ხაღხი აათვალიერა, დაინახა, რომ ორი მისი  
ნაცნობი სადილს შეეჭტოდა და იმ მაგიდას მიასურა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ—იმავ სავაჭრო სახით  
მიუსალმა უმაწვადებს და მაგიდას მიუჯდა—რას ვხედავ?  
—შესიძახა იმან სადილსა სჭამთ? განა რომელი სათია?  
—ათხის ნახევარია — უპასუხეს იმათ.

— მართლა? უფ, მეც ძალიან მშაინ, მეც თქვენ-  
თან შეგაქვნივით სადილს, არჩილ, უარამან, აბა რა გაქვთ  
საჭმელი?

სანდრო მიუჯდა მაგიდას და სადილს გულიანთ  
შეეჭტა.

(დასასრული იქნება)

სვ. უ—ნი.

### სიუჟეტის ფილმსოფია.

(შედეგი)

ლაჟვარდოვან ზღვას ერთვის მდინარე,  
ხოლო მდინარეს—რუ-ნაკადული;  
ღრუბელთ ქვეშ ნაზად მფრინავი სიო  
მიწასა ჰკოცნის სულგანაბული.  
ყველა სულგამულებს მტკიცედ აერთებს  
ძმური კავშირი და სიყვარული.  
ოჰ, მეგობარო ჩემო, კეთილო,  
რად არ ჩავართოთ ჩვენც სულთან სული?  
მთისა მწვერვალი ცის კილურს სწვდება,  
ზვირთი სიამით ეკვრის ნაპირსა;  
ყვავილი ყვავილს ჩაჰკონებია  
და ვით ძმა დისა უკოცნის პირსა.  
ღამის სიბნელე ზღვას ამბორსა ჰყოფს,  
მიწის—ღღის შუქი, ისრად ნატყორცნი:  
მაგრამ რას დავდევ მათს ხვევნას, ალერსს,  
თუ შენ აღვზნებთ მე არა მკოცნი?  
**რ. ბებიაშვილი.**

### „სად არის ჭეშმარიტება...“

(ლ. ანდრეევის „ანათემის“ შესახებ)

„სად არის ჭეშმარიტება! სად არის ჭეშმარიტება! „  
— ვის გულს არ ამოუკვნიას ამ სიტუვებით! რომელ  
ქვეყანას არ გაუგონია ეს შეშინარავი ხმა! რომელ საუ-  
კუნეს არ ჰქმენია ეს მწარე კვნესა!

წასულის უფსკრულიდან, განვლილ საუკუნეთაგან,  
წინაპართა სიფლავებიდან მარად მოისმის ეს გულშემზა-  
რავი კვნესა.

ამ გულშემზარავ ხმაში ისევე კვნივით, მწარე ტრე-  
მლებით ჩაქსოვილია ტრაგიაში მთელის ქვეყნიერების,  
სულის კვეთება მადლ ბუნებოვანთა მასში გამოხატება  
საკვდურად და აღმოფთობაც უხილავ შემოქმედისადმი.  
გზა აბნეული აზრებით, დაუკმაყოფილებელ გრძობებით  
მასში ჩაწნული და ჩაკვნილია თავდავიწყებითი მის-  
წრაფება უკვლავობას და მარადისობისადმი და იმედის გა-  
ტრუება, მაუწყებლობა მისი, „რასაც ეტრფოდა, რა-  
საც ექებდა“.

ამ ქვეყნიურ კვნესას უკანასკნელად ბანი მისცა  
ლეონიდ ანდრეევი. მისი ანათემა, ადამიანთა შორის  
ყოვლის შემძლე ანათემა, საცოდავად სდგას რკინის  
კარებით ჩაკეტილ მარადისობას წინაშე და ეკვდრება  
„...მითხარით ჭეშმარიტების მოფარე ანათემას, სად  
არის ჭეშმარიტება! სად არას ჭეშმარიტებაო!“

მაგრამ არ დისკობით წარსულ საუკუნეთა პასუხა.  
არც ანათემას აძლევენ პასუხს. ან მივიღებთ კი რადისმე  
პასუხს? ან არის კი ვინმე, ან ისეთი რამე, რაც გავ-  
ცემდეს პასუხს?—არ ვიცი, არაფერი არ ვიცი და  
ეს არ ცოდნა გვაძლევს უფრო ხმა მადლს, მეტის  
სასწარმევეთილებით შეესიძახათ — „სად არის ჭეშმარი-  
ტება!“

თუ არსებობს სადმე ჭეშმარიტება, რატომ ერთხელ  
მაინც ვერ ვიხილავთ მას და თუ არ არსებობს, რომ  
დაჭბადა ადამიანის არსებაში ასეთი სიუფარული და  
ლტოვილება არ არსებულისადმი!

ან იქნება ჭეშმარიტება იმაშია, რასაც ჩვენ ვხე-  
დავთ, რასაც ვგრძნობთ, რაზეც ვფრთხობთ, მაგრამ  
ხარბი გული ადამიანსა და მისი დაუცხრომელი ცონება  
თხრავს რადაც მიუწოდებელისა და არ არსებულისა გამო?  
მაგრამ, არა!

ჭკვათა მყოფელ ადამიანში არ არსებობს არც ერთი  
გრძნობა, არც ერთი აზრი, არც ერთი სურვილი, რაც  
ქვეყნად არ არსებობდეს.

იგი რთული მონადა მსოფლიოში და მასშივე  
მონადებათ არის ჩასხული მსოფლიოს ეოველი თვი-  
სება, ეოველი ჭნავი, ეოველი კითხვა და ამტყანა.

აღბათ ადამიანი ინსტიქტიურათ გრძნობს ქვეყ-  
ნათ არსებულ რადაც სიხუმეს, იღუმადებას და ჰსურს  
კაიგოს მისი ხმა, მისი პასუხი.

ან იქნება მისი ხმა, ანდრეევისებურათ რომ ვსთქვათ,  
მადლსა, მაგრამ არ გვემსის; მისი არსება ტხდათა



სხანს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით; და ვერც დავინახავთ ვერას დროს, ვერც ტავიკობთ ვერასდროს, ვერც შევიძინებთ ვერასდროს!

დაე გვამცნოს ვილაცამ უნაყოფობა ჩვენის ცდისა, ჩვენის სურვილისა, ჩვენ მაინც არ დავსრუდებთ, არ მოვისვენებთ და კვლავ შევსძახებთ:—გვითხარ, სად არის ჭეშმარიტება? რა იყო წარსულის წინ? რა იქნება მომავლის შემდეგ?—უგვდავება, მარადისობა, თუ სიუფუჭე და ანარაობა?

წარსულსა და მომავალ შორის არის რამე კავშირი, რამე მიზანი და ღვთიური გონიერება?—ან იქნება ხალხისა, უმიზნო—უგუნურობა და უთავბოლოება შეუფობს?

ეს კითხვები კიდევ მრავალჯერ შესისხვებს ფრთებს ჩვენს ოცნებებს და დაგვაწვიებენ ქროლვას მარადისობიდან ანარაობამდე და უგვდავობიდან წარმავალობამდე მათ საძებნელათა და საბოკნელათ.

ამით კიდევ ბევრჯერ ავამღერებთ ჩანჯს, ავაკუნესებთ ხმას, ავაუვაგებთ გრძნობებს და საამო მწუხარებაში, ოცნებაში და თავდავიწყებაში გახვდებით მათეუბელსა და მსმენელს.

ამ გულის მქეფნავ, სულის მამოთარ კითხვათა ძებნაში კიდევ რამდენ სივალსნობას და სილამაზეს ვბოკვებთ ციურ მსათობათ შორის, რამდენ სინაზესა და სურნელობას ვიხილავთ მფუქნავ ევაგილთა და ვარლთა შორის, რამდენ ტბილ მანგებს, გრძნობის მათობელს მოვასმენთ კიდევ ფრინველთ ჭიკჭიკში და გალბაში! რამდენ სიდიდესა და სილამაზეს ვიხილავთ ბუნების სიუხვში, სიმდიდრეში, მარმონისში და განვიცდით აღტაცებასა და ზეადმაფრენას!

დაად! შეიძლება ვერ ვიბოკვით ჭეშმარიტება, მაგრამ მის ძებნაში კი ვიბოკვით ბევრ ახალს, რაც ჯერ კიდევ არ გვიბოკვია, არ გვიხილავს და არ გვიგრძნია. ეს იქნება ჭეშმარიტებისაკენ მისწრაფებაში გზა და გზა აკრეული მარგალიტები, სურნავნი, სილამაზენი.

ჩვენ ვეძებთ ჭეშმარიტებას—ვერ ვბოკვით, მაგრამ იმის სანაცვლოთ კი ვზოულბობთ ბევრ რამეს. ესეც ერთგვარი ანაზღაურება იქნება ჩვენის დასვენისა, ჩვენის შრამისა.

რომ შემთხვევით აღსდგებოდეს ბუდა, მაშინვე გაცდებით შემოგვძახებდა: რაღას ადებთ! ნუ თუ ჩემ მძლეუთ-მძღვე გონებით შექმნილ ნივანაში თქვენ ვერა მბოკვით ჭეშმარიტებას.

რომ მოგვევლინებოდეს ქრისტე, მაშინვე გვისაუკვადურებდა: რაღას ესწრაფვით! ნუ თუ ჩემგან ხანარებ სუსუფეველში თქვენ ვერა მბოკვით კმაყოფილებას, ჭეშმარიტებას. ნინეშე რომ წამოიხედავდეს, მრისხანედ მოგმართავდა თავის ზარატუსტრის პირით: გზა დაბნეული ნეტავ რაღას დაიარებთ! ნუ თუ ჩემგან გადმურთებულ იყავთ თქვენთვის არ არის ჭეშმარიტება!

მაგრამ ჭეშმარიტება ხომ ერთი უნდა იყოს, მას რათ გვიჩვენებენ სხვა და სხვას. ან იქნებ მათ ვერ მბოკვით ნამდილი, კანხორციელებული ჭეშმარიტება და ოცნებით მისი სანაცვალ შექმნეს!

ან იქნება თავის დროზე ეველას სიტყვა იყო ჭეშმარიტება და რა ვახილეთ, რა ვისმინეთ იგი, დაჭკარება თვისი ძალა და დავიწყოთ ახალ ჭეშმარიტებისა და ახალ ვერზის ძებნა.

ჩვენ შეგვიძლიან არ ვზოვით ჭეშმარიტება, მაგრამ არ შეგვაქლიან არ ვეძიოთ იგი.

აღამაინში ერთგვარი ზოტენციადური ძალაა და რაც გინდ უმიზნო ივეეს იმისი ხარჯვა, იგი მაინც მლამობს გარედ გამოსვლას, მოძრ.ობ ს. და ამ ძალის ხარჯვა, თათქოს რაღაც მიზნისაკენ არის მიმართული, ნამდილია თუ უმიზნო არს ჩვენი შრამა, ჩვენი ცოდვილი, ჩვენი წვალება, სიცოცხლე, და ეველაფერი.

მაგრამ, დაე უსარგებლო იყოს ჭეშმარიტების ძებნა, ჩვენ მაინც ვკითხვით ვილაცას, რაღაცას: „სად არის ჭეშმარიტება!“

დაე სდუმდეს ეველაფერი ჩვენს გარშემო, ჩვენ მაინც ვკვნიით: „სად არის ჭეშმარიტება!“

მორას ვაღბოლი ამბობდა, ვინც გრძნობთ სტრეკობს, იმისათვის ცხოვრება ტრადედაა, ვინც გონებით—ეძებდაა.

აღამაინს უფრო ტრადედაა ევერას, რადგან იგი თვით ტრადეკული არსებობს და ამ ტრადედიის დახატვა კი არც ერთ იფალოსოფიურ თხზულებას, არც ერთ მუნაურულ ნაწარმებს ისე კარგათ არ შეუძლიან, როგორც მსატერულ ქმნილებას.

ლეონიდ ანდრეევის „ანთემაც“ მსატერული ნაწარმებია. და როგორც სიძლიერთ, როგორც გრძნობით და ტრადეკშით შესძახ მან უპირთვნო ვილაცას, — „სად არის ჭეშმარიტება!“

დაე თვითონ მკითხველმა გაარჩიოს ეს. აღამაინი ათასნაირია.

ზოგის გული ისე ერუა, რომ რაც გინდა უვეირო, ის ვერაფერს გაიგებს, ზოგისა კიდევ ისეთი ფხიზელი და ნაზია, რომ მას უბრალე ჩურჩულიც კი შეავიოთ ესმის და იმსკვალება იმის შინაარსით.

ლევ. მეტრეველი.



### საფრანგეთის ეროვნული სიმღერა

აა თუ იმ ერის ქონებისა და სიმღერის გამომკვლევა ზედმიწევნით შეუძლებელია. მისი გამომანგარიშება და დაფასება შეიძლება მხოლოდ დაბლოკებით.

საფრანგეთის ეროვნული სიმღერე განუზომელია და ამ მხრივ იგი ერთ უმღერეს ქვეყნად ითვლება. ძართალია, საზოგადო ჯამი მის სიმღერისა ვერ სკარბობს ვერც ინგლისისა და ვერც ამერიკის სიმღერეს. მაგრამ შედარებით რომ ვიანგარიშოთ, მას ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება.

ეს როელი საქმე საფრანგეთის ეროვნულ სიმღერის განვიანგარიშებისა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრად ნამყოფსა და საფრანგეთის საზოგადო ბიუჯეტის მომხსენებელს პარლამენტში პოლ ღუმერს.

რა შეძლება აქვს საფრანგეთს და რამდენ მი-



ლიარდათ შეიძლება შეფასდეს ყოველნაირი ქონება ამ ერისა?!

ამ კითხვაზე მრავალ მეცნიერს და ეკონომისტს გაუცია პასუხი, რომელიც მუდმივ დაუსრულებელ კამათს იწვევდა. ისინი იქაძლისაც კი მივიდნენ, რომ საზოგადოთ უარყოფდნენ ამ საკითხას არსებობას. ისინი ამტკიცებენ, რომ ერის სიმდიდრის გამოანგარიშება არ შეიძლება; რადგან ზედმიწევნითა და დანამდვილებით მისი გაზომვა ტყუილი ცდა იქნება. ამ აზრის დასამტკიცებლად ისინი ხშირათ ისენებენ ტიერის ფრაზას. 1871 წელს საერო კრებაზე ცნობილია ეკონომისტმა ვოლოვსკიმ სთქვა, საფრანგეთის ეროვნული სიმდიდრე 150—200 მილიარდ ფრანკს უდრისო. ტიერმა სიტყვა გააწყვეტინა და წამოიძახა:

— არავის არ შეუძლიან ჩვენი სიმდიდრის გამოანგარიშება.

— მეც მაგეტომ მოგახსენებთ, 150-დან 200-მდე მეთქი და საქამათოთ და სეჟევოთ ჩავადე 50 მილიარდი, მიუგო ვოლოვსკიმ.

— თქვენ რომ 500 მილიარდიც ჩავადოთ, არც მავს დაგიშლით ვინმე, უპასუხა ისევ ტიერმა.

ტიერიც და მისი მომხრენიც ძალიან სცდებიან. ეროვნული სიმდიდრე იმათთვის რალაც ხელუხლებელი საიდუმლოებაა, რომლის გამოცნობას და გამოკვევას ვერც თვითონ ბედავენ და არც სხვას აძლევენ ამის უფლებას. ტიერმა 60 წლის წინათ ისიც კი სთქვა, რომ რკინის გზას არც რაიმე მნიშვნელობა აქვს და არც მომავალიო, მაგრამ აქაც შესცდა.

მაშ ვნახოთ და გავზომოთ საფრანგეთის მამულ-დედული და საზოგადო ქონება.

საზოგადოთ ერის სიმდიდრეს შეადგენს მთელი მოძრავი და უძრავი ქონება მთელის ერისა: საკუთრება კერძო პირთა, სახელმწიფოსი, ეკლესიისა, საზოგადოებისა, თემებისა, სოფლებისა, ქალაქებისა და სხ.

ეროვნულ ქონების უდიდეს ნაწილს შეადგენს კერძო საკუთრება. მის გამოანგარიშების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ უფრო მოგროვილ კაპიტალს, რომელიც ერის ხელში კარგათ შენახული სიმდიდრეა, ნაწარმოებს კი ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იგი დროებითი თანხაა, რომელიც არსებობისათვის არის შექმნილი და დღეს თუ ხვალ გაქრება. ასეთი ნაწარმოები — შემოსავალი კაპიტალისა ან შრომისა — მთლათ არ ჩაითვლება ანგარიშში. ეროვნულ სიმდიდრეში უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ნაწილი ასეთ შემოსავლისა, რომელიც მაშინვე არ იხარჯება, არამედ ინახება და მუდმივ თანხათ რჩება.

თეორიულათ მრავალ ნაირათ შეიძლება ერის სიმდიდრის გამოანგარიშება. ყველაზე უბრალო და მარტივი საშეაღება ასეთი იქნება: უნდა დაითვა-

ლოს პირდაპირ მთელი მოძრავი და უძრავი ქონება სოფლისა და ქალაქისა: მიწა, შენობა, მალარო, ქარხანა, მაშინა, სავაქრო საქონელი, პირუტყვი, ყოველნაირი იარაღი, გემი, რკინის გზა, ფული ბანკებში და შემნახველ კასებში და სხ. და სხ. შემდეგ ამ ჯამს უნდა მივმატოს ვაქრობის სათანადო თანხა, ობლიგაციები, აქციები და ყოველნაირი განადღებული სესხი. ეს საქმე მოითხოვს ძალიან დიდ დროს, შრომას, ხარჯსა და სიფრთხილეს.

### საფრანგეთის სიმდიდრის ანგარიში.

ზედმიწევნით მისი გამოანგარიშება შეუძლებელია, მაგრამ დაახლოვებით კი ყოველთვის შეიძლება გამოირკვეს რაოდენობა ამა თუ იმ ერის ქონებისა. ყველაზე სწორეთ და ზედ მიწევნით ეს საქმე ხდება ამერიკაში, სადაც მთავრობა მოხელეთა ლაშქრის დახმარებით პერიოდულათ ანგარიშობს ერის ქონების რაოდენობას, მის წინსვლასა და განვითარებას. სხვაგან ამ საქმეს ასრულებენ ან კერძო ორგანიზაციები, მაგალითად სტატისტიკოსთა ან ეკონომისტთა საზოგადოებანი, ან კიდევ რომელიმე სამინისტროს რომელიმე დეპარტამენტი, რომელიც ამ საქმეს მისდევს სხვათა შორის, ამიტომ მისი ანგარიში ხშირათ ყალბია.

საფრანგეთში ამ საქმეს ფინანსთა სამინისტრო ასრულებს. იგი თავის აუარებელ მოხელეთა დახმარებით სხვა-და-სხვა გადასახადის გაწერის დროს აგროვებს და თავს უყრის ათასნაირ ცნობას მცხოვრებთა ქონებრივ ავლა-დიდების შესახებ და აქედან ანგარიშობს მთელი ერის ქონებას.

პირდაპირ გადასახადთა ადმინისტრაციის ანგარიშით მთელი საფრანგეთის მიწა (სახნავ სათესი სათიბი, ბაღი. ვენახი და სხ.) წელიწადში იძლევა 2580 მილიონ ფრანკს (ფრანკი უდრის 38 კაპეიკს). ეს ფული სარგებელია იმ თანხისა, რომელიც უძრავ ქონებათ აქვს შენახული ერს, ე. ი. მიწისა. მის ღირებულობის გამოსაკვლევათ უნდა გავიხსენოთ, რომ მიწა იძლევა საშუალოთ 4% სარგებელს, მიწა შენობით 5% ს. იქნება სთქვას ვინმე, რომ ასეთი ანგარიში გადაქარბებულიაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ნუ დავივივიწყებთ, რომ შემოსავლის რაოდენობაც ძალიან დაკლებულია, ვინაიდან არც გლეხი და არც სხვა შესაკუთრე სახელმწიფო მოხელეს არ ეუბნება თავის ნამდვილ შემოსავალს. როგორც ხედავთ, თუ ერთგან ემატება ძალიან ცოტა, მეორედგან ამავე ანგარიშს აკლდება ძალიან ბევრი. ესლა ცხადია, რომ ჩვენ ანგარიშში უკიდურესი მინიმუმა და არა მაქსიმუმი.

2580 მილიონი ფრანკის სარგებლის მთავარი წყარო, ე. ი. თანხა, ანუ ღირებულობა საფრანგეთის მიწისა (უშენობოთ) უდრის 64 $\frac{1}{2}$  მილიარდს.



მეორე უდიდესი ნაწილი ამ ერის სიმდიდრისა არის შენობა. მისი წლიური შემოსავალი უდრის 3124 მილიონს. მაშასადამე, 5<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით რომ ვიანგარიშოთ, საფრანგეთის შენობები ღირს 62<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიარდი.

მოდრავ ქონების გამოანგარიშებაც არ არის ძნელი. ბირჟისა, გადასახადებისა და ოფიციალურ სტატისტიკის მეოხებით ადვილათ შეიძლება მისი გაგება. ვიანგარიშით ჯერ რენტა (სარგებლიანი ქალაქები). ნომინალური ფასი ამ ქალაქებისა ამ წამათ უდრის იმის ნამდვილ თანხას, ამიტომ მისი გამოანგარიშება ძალიან ადვილია. ჯამი ამ თანხისა უდრის 26 მილიარდს. მაგრამ რენტის ერთი ნაწილი უცხოეთშია, დანარჩენი თუმცა საფრანგეთშია, მაგრამ მთლად კერძო პირების ხელში არ არის. უცხოეთში დაახლოებით 500 მილიონის რენტა დაბნეული, საფრანგეთის საზოგადო დაწესებულებებს ხელში 8 მილიარდის რენტა აქვთ. საშუალოთ 17 მილიარდის რენტა რჩება ფრანგ კაპიტალისტების ხელში. რაც შეეხება სხვადასხვა ფრანგულ აქციებსა და ობლიგაციებს, მათი რაოდენობა 30 მილიარდს უდრის. ამას უნდა მივუმატოთ: ფრანგების მიერ ნაყიდი 30 მილიარდის ფასიანი ქალაქები სხვადასხვა სახელმწიფოებისა, სხვა და სხვა ბანკებში შესანახათ შეტანილი ფული, რაც უდრის 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიარდს, საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა და შემნახველ კასსათა თანხა (4 მილიარდი), ავეჯი და სხვა მოძრავი ქონება (5 მილიარდი) და მოჭრილი ოქროსი და ვერცხლის ფული (3<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიარდი).

ამ რიგათ ფრანგთა კერძო საკუთრება უდრის 230 მილიარდ ფრანკს. კიდევ ვიმეორებთ, ეს რიცხვი ზედ მიწვენიტ სწორი არ არის და არც შეიძლება იყოს.

ზემოხსენებულ მეთოდის გარდა აჩვენებთ კიდევ ერთი მეთოდი. რომლითაც შეიძლება გაზომილ იქმნეს ერის სიმდიდრე. იგი დამყარებულია მემკვიდრეობის უფლებაზე.

ყოველ წელიწადს ეროვნულ სიმდიდრის ერთი ნაწილი ერთ ხელიდან მეორე ხელში გადადის, ერთი თაობა ცხოვრებასთან ერთად თავის შეძლიერებასაც უთმობს მეორე თაობას. რაოდენობა იმ ქონებისა, რომელსაც ყოველ წელი იძენენ მემკვიდრენი, ზედ მიწვენიტ არ არის ცნობილი. აი რატომ. ერთი თაობა მეორე თაობას თავის ქონების ერთ ნაწილს—უფრო მოძრავ ქონებას—ხელში უტოვებს სიცოცხლის დროსვე, რაც სათვალავში არ არის ჩასაგდება. გარდა ამისა თვითონ მემკვიდრენი უმეტეს შემთხვევაში გაცილებით ნაკლებათ აფასებენ მიღებულ მემკვიდრეობას, რათა დაიკლონ მემკვიდრეობაზე გაწერილი გადასახადი. საერთო გამოანგარიშებით ეს დაფარული და დამალული წლიური მემკვიდრეობა უდრის 700—800 მილიონს.

შევამოკლოთ ეს რიცხვი ერთი ოთხად და ავიღოთ თუნდ 200 მილიონი. ესლა ოფიციალური სტატისტიკა ვნახოთ.

ერთმა თაობამ მეორე თაობას გადასცა:

1901 წელს 6300 მილიონი	1905	6760	„
1902 „ 5928 „	1906	6245	„
1903 „ 6009 „	1907	6518	„
1904 „ 6330 „	1908	6520	„

ავიღოთ აქედან საშუალო რიცხვი—6500 მილიონი, მივუმატოთ მას 200 მილიონი მანკ და დავისომოთ, რომ წლიურათ ერთი თაობა მეორეს 6700 მილიონს უტოვებს.

მთელი ერის სიმდიდრის რაოდენობის გასაგებათ საქროა ვიცოდეთ, რამდენ ხანს ინახავს საშუალოთ ერთი თაობა წინა თაობისგან მიღებულ მემკვიდრეობას. ეკონომიურ მეცნიერებაში მიღებულია, რომ ერთი თაობა მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას ინახავს 33 წლიდან 37 წლამდე (ისევ საშუალო რიცხვია აღებული). ესლა ავიღოთ აქედან ერთი საშუალო რიცხვი, 35 წელიწადი და გავამრავლოთ წლიურ მემკვიდრეობის რიცხვზე.

$$35 \times 6700 = 234\frac{1}{2} \text{ მილიარდი.}$$

ამ ქონებას წლიურათ შემოაქვს 9 მილიარდი, ე. ი. 4<sup>0</sup>/<sub>0</sub>. ამას რომ მივუმატოთ წლიური ნამუშავარი მთელის ერისა (14 მილიარდი), გამოვა სრული წლიური შემოსავალი (23 მილიარდი) საფრანგეთისა.

მაგრამ ეს არის ნხოლოთ კერძო საკუთრება. ამას უნდა მივმატოს ქონება ათას სხვა და სხვა საზოგადოებისა, კომუნისა, დეპარტამენტისა და თვით სახელმწიფოსი.

საზოგადოების ქონება არ აღემატება 500 მილიონს.

საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საქველმოქმედო საზოგადოებათა თანხა უდრის 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიარდს.

კომუნებისა და დეპარტამენტებისა — 2 მილიარდს. დარჩა სახელმწიფოს საკუთრება. მისი ანგარიში ცოტა უფრო რთულია.

ჩამოვთვალოთ მისი ქონება ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით.

სამხედრო ქონება, იარაღი და სხ.	3 მილიარდი
სამხედრო ფლოტი	1 <sup>1</sup> / <sub>2</sub> „
საზღვაო მასალა	1200 მილიონი
უძრავი ქონება სამხედრო უწყებისა	2500 „
ტყე	1800 „
გზები და ხიდები	1550 „
რკინის გზები და ქუჩები	5500 „
არხები	1650 „
ნავთსადგურები	1250 „
წილი კერძო რკინის გზებში	5500 „

სულ 25 მილიარდი და 450 მილიონი.



ამას უნდა მიემატოს მოძრავი ქონება სახელმწიფოსი, რაიც, სულ ცოტა, 1 1/2 მილიარდი მაინცა ღირს. ამიანათ სახელმწიფოს ქონება შეიძლება დაფასდეს 27 მილიარდათ. მიემატათ ამას კომუნებისა და საზოგადოებათა შემოსხსენებული ქონება (7 1/2 მილიარდი) და მივიღებთ საზოგადო ჯამს სახელმწიფო და საზოგადო ქონებისას—33 1/2 მილიარდს. იტყვიან, კარგი ქონებააო, მაგრამ ის კი არ იციან, რომ ამ ქონებას გაცილებით უფრო მძიმე ვალი ადევს. საფრანგეთის სახელმწიფოს მულდ-მივე ვალად აქვს 22 მილიარდი და 7 1/2 მილიარდიც ვალიანი სესხი, სულ 29 1/2 მილიარდი.

კომუნებსა და დეპარტამენტებსაც აქვთ თავიანთი ვალი. კომუნების ვალი უდრის 4100 მილიონს (აქედან მარტო პარიზზე მოდის 2500 მილიონი), დეპარტამენტებისა 700 მილიონს. საერთოთ სახელმწიფოსი, კომუნებისა და დეპარტამენტების ვალი შეადგენს 34 მილიარდს. ეს არის მათი პასხივი. აქტივი შეადგენდა 33 1/2 მილიარდს, მაშასადამე ვალმა გადააქარბა მოვალის ქონებას 1/2 მილიარდით.

საზოგადო ქონების მიხედვით საფრანგეთს მესამე ადგილი უჭირავს მთელს ქვეყანაზე, ფულით კი მას ვერც ერთი ერი ვერ შეედრება (Je sais tout № 53).

პოლ ღუმერი.



# ჩვენი პრესა

ტერიტორიის საქმე ქართველ ერისთვის ყოფნა-არ-ყოფნად გადაიქცა. ასეთის გაფაციცებითა და აჩქარებით ჩვენში მამულის აღებ-მიცემობა არასოდეს არ დატრიალებულა.

დღე არ გაივლის ისე, სწერს „დროება“, რომ გაზეთებში ცნობა არ იყოს ქართველ მემამულეების მიერ მიწის გაყიდვის შესახებ. ზოგი სახელმწიფო ბანკში აგირავენ მამულს, ზოგი ბანკშიაც აგირავენ და კერძოთაც სცდილობს ერთის ნაწილის გაყიდვას. მყიდველი ამ უკანასკნელ ხანებში უმეტეს შემთხვევაში რუსის გლეხობაა. რუსებს მოსდევენ ოსები. ქართველ გლეხებს კი სულ უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. და თუ ეს ასე გაგრძელდა, ვერც კი გავიგებთ, ისე შეიქვლება ამ მოკლე ხანში ამიერ-კავკასიის ეთნოგრაფიულ მოსახლეობის რუქა. უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცესი მიწის მობილიზაციისა საკვირველის სისწრაფით სწარმოებს და ჩვენ, ქართველები, გულზედ დაკრეფილნი შევეუბრებთ ჩვენს დაღუპვას და გადაშენებას. უმეტესობას არც ეი ესმის, თუ რა მოვლის საქართველოს ახლო მომავალში, უმცირესობას კი, რომელსაც კარგად აქვს გათვალისწინებული საფრთხე, ცრემლებსა დვრის, დასტირის სულთმობრძავე მამულს და თითსაც არ ანძრევს საქმის გამოსაკეთებლად. და ჩვენის გულგრილობისა და წუწუნის დროს კი საქართველოს ტერიტორია

მცირდება, პატარავდება და იკუწება. დროა, მკითხველო, თუ არა თავი დაგანებოთ წუწუნს და ოხვრას და ცოტათი მაინც გამოვიჩინოთ თვით-მოქმედების უნარი და სკრკილი მოქმედებისა?

ყვირილისა და ლაპარაკის თავიც აღარა გვაქვს, ყველას მოგვწყინდა ესოდენი ფუქი სიტყვა, უნაყოფო გოდება და თითთა კბენანი. შოვლენილ ღვთის რისხვის დასახვედრათ ერთად ერთი წაძალი არსებობს,—საგლეხო ბანკი, ე. ი. ფული, ე. ი. ის, რაც ქართველს არ მოეპოვება. სხვა გზა აღარ არის:

ჩვენი ხალხის წინაშე ამგვარი დიღებმა—ან ტერიტორიის დაკარგვა, ან ამ ტერიტორიის შერჩენა ფულის შემწეობით. ან ერთი ან ძეოფე უნდა იჩიოს ხალხმა. და სწორედ ეს უნდა შეგახებინოს ხალხს პროვინციებში დაარსებულმა წრეებმა. ამ წრეების მოქმედება ნაყოფიერი იქნება, თუ რომ თვით-მოქმედების უნარი აღძრეს გლეხობაში, მამულის შემქნის სურვილი დაუბადეს მას და შემოღებისა დაგვარად, შემდგომლობაც გასწიეს მყიდველთა და გამყიდველთა ხოლმის.

ამ წრეების მოქმედების გაერთიანებისათვის საჭიროა აგრეთვე ცენტრალური ორგანოს, ცენტრალური ბიუროს დაარსება. მაგრამ უსახსრობისა გამო ჯერ ხნობით საძნელო იქნება ამ საქმის განხორციელება. ხოლო, ჩვენის აზრით, ამ ორგანოს მაგიერობას, პირველ ხანში მაინც, ქართული ჟურნალ-გაზეთობაც გასწევს. შუამავლობას გაზეთი ვერ იკისრებს, ხოლო შეიძლება გახდეს ცენტრად იმ ცნობებისა და ძასალებისა, სადაც შეგროვდება, შემუშავდება და გამოქვეყნდება პროვინციულურ წიგნების ნამუშევარი და ნამოღვაწარი.

ყოველივე, რაზედაც ჩვენ ჩამოვადგეთ აქ ლაპარაკი, პალიატივია უმნიშვნელო, მედარებით იმ დიდ განსაცდელისა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას. მაგრამ სახამ დიდ რამეს ეოვაწყობთ და სახამ შევძლებთ და არსებითად გაუმკლავდებით საფრთხეს, პატარა საქმიდან დაიწყეთ, ავამოძრავოთ საზოგადოების მოქმედება, ხუ ვიქნებით უმოქმედონი იმის მოლოდინში, რომ განგება იზრუნებს ჩვენის საქმეების მოწესრიგებაზე. ამოძრავებულ თვითმოქმედებას ზრდის და გაძლიერების უნარი აქვს. მოქმედების ახალ ფორმას იგი თითონ გამოიხატავს შემდეგში, თავდაპირველად კი ამ ენერგიის და თვით-მოქმედების ამოძრავება საჭირო.

რასაკვირველია, ენერგია და ძალა ფულზე ძვირათ ფასობს, და თუ გვიშველის რამე, ისევე ეს ენერგია, ეს ძალა, მტკიცე ნება, ხალისი შრომისა, უნარი საქმიანობისა და თვალების მოფშენეცა, რათა ხილულ ვყოთ ის უდიდესი საფრთხე, რომელიც მოვლის ქართველ ერს, მის მომავალსა და მის არსებობას.

\* \*

„ფონში“ დაბეჭდილია უსათაურო წერილი ივ. გომართელისა შესახებ რუსულ კულტურისა, რუსის ბუნებისა და წარსულ რევოლუციისა.

როდესაც მე ვითვალისწინებ, ვუკვირდები რუსის ხალხის ცხოვრებას, იმის წარსულს, ჩემთვის ცხადი ხდება, რომ რუსის ხალხი არც პოლიტიკურათ, არც



გონებრივად წინ არ მიდის. მაშ ეს მდიდარი ლიტერატურა რა არის? პუშკინი? დოსტოვესკი? ტოლსტოი? რუსეთის მდიდარი ლიტერატურა არც იმდენად მდიდარია, როგორც პირველის შეხედვით გამოუცდელ მკითხველს ეჩვენება. ის ბევრში ნაყოფია დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა. ყოველ შემთხვევაში ეს ლიტერატურა მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ რუსეთში არის საკმაოდ დაწინაურებული ინტელიგენცია, რომელსაც ხალხთან არაერთი კავშირი არა აქვს. ხალხისა ამ ინტელიგენციას არ ეყურება, ხალხსაც მისი არა ეყურება რა. ინტელიგენცია იკვებება ევროპის აზრით, ის სცხოვრობს ევროპის იდეალებით; ხალხი-კი სცხოვრობს ისე, როგორც თუნდა ივანე მარსხაშვილს დროს, გულში შიში აქვს გამჯდარი, გონებაში მორჩილება. იდეალები კი არ გააჩნია.

ვინც ჩაპკვირვება რუსის ხალხის ისტორიას, ერთი მოკლე ექნება შემჩნეული: რუსეთის ისტორიამ რევოლუცია არ იცის. მაშინ, როდესაც ევროპის ყველა ხალხმა განიცადა რევოლუცია, რუსეთში არ მომხდარა რევოლუცია. რუსეთში ყოფილა მხოლოდ „ბუნტი“. წარსული მოძრაობაც მხოლოდ ბუნტი იყო და თუ მას მაინც რევოლუციას უძახიან, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი ინუგეშონ, ან მოაწონონ სხვას: ჩვენც ვიცით რევოლუციაო. რითი განირჩევა „ბუნტი“ რევოლუციისაგან? რევოლუცია არის აჯანყება უმრავლესობისა პოლიტიკურს, სარწმუნოებრივს, გონებრივს და სხვა სფეროში. ხოლო „ბუნტი“ კი არის აჯანყება უმცირესობისა. ბუნტი ძვირად თავდება გამარჯვებით, და თუ გათავდა გამარჯვებით, ეს უკანასკნელი ხანგრძლივი არ არის, რადგანაც ის უმრავლესობაზე არ არის დამყარებული. რევოლუცია კი არასოდეს არ მთავრდება სრული დამარცხებით—და ეს ცხადიც არის: როდესაც უმრავლესობა იბრძვის, შეუძლებელია რომ რამე—თუნდა სულ მცირეც—არა მოიპოვოს რა.

რა მოვიპოვეთ ჩვენ? სრულებით არაფერი, პირიქით, რაცა გვექნა, იქიდანაც დაიკარგეთ. ამგვარად მხოლოდ ბუნტი თავდება და არა რევოლუცია.

წაგებულ რევოლუციას პარტიები ბრალად ადებენ ერთმანეთს.

არავის არ უნდა ჭეშმარიტებას პირდაპირ შეხედოს, რადგანაც ეს ჭეშმარიტება მეტად მწარეა; არავის არ უნდა ირწმუნოს, რომ საქმე თვით რუსის ხალხმა წაიგო და ყველა ეძებს წარმავალ, შემთხვევითი ხასიათის მიზეზებს.

სლავიანთა მოდგმის თვისება ის არის, რომ მას მაღალი პოლიტიკური განვითარება არ ეხერხება.

ყოველ ხალხსა ჰყავს ისეთი მთავრობა, როგორც ღირსიც ის არის, როგორც იმის ხასიათს, იმის ბუნებას, იმის ფსიხოლოგიას შეეფერება. ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა.

ბატონყმობა ბევრგან იყო, მაგრამ იმდენად მკაცრი, იმდენად სასტიკი, როგორც რუსეთში, მე არა მგონია, რომ სადმე ყოფილიყოს. მერე რა წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის ხალხმა? არაერთი.

პუგაჩოვი, რაზინი—ესენი რევოლუციის მეთაურები კი არ არიან, არამედ ბუნტისა.

თუ სხვაგან ბატონყმობის მოსპობა შედეგი იყო ხალხის ბრძოლისა, რუსეთში ბატონყმობის მოსპობა მხოლოდ წყალობა იყო მეფისა; სხვა არაფერი.

ხშირად გამოვიხია, რომ არ მოეცათ, ხალხი თვითონ წაიღებდა და უმჯობესიც იქნებოდაო.

შემდარი აზრია, ხალხი ვერაფერს ვერ წაიღებდა, რადგანაც არც ფიქრობდა სრულებით რისამე წაღებას. რუსეთის ფინანსების გაუმჯობესება ითხოვდა ბატონყმობის მოსპობას და მეფეს რომ არ ეწყალობებია, მე დარწმუნებული ვარ, რომ დღემდე იქნებოდა რუსეთში ბატონყმობა. რუსის ხალხმა მხოლოდ წყალობის მიღება იცის და არა რისიმე მოპოება.

ლატაკებს და მონებს თავის თავთ არასოდეს არაფერი არ მოუპოვებიათ.

მონობა—აი ნიადაგი რუსეთის ისტორიისა; ბუნტი და რეაქცია, რეაქცია და ბუნტი—აი შინაარსი ამ ისტორიისა.

თუ წარსულის მიხედვით შეიძლება რაიმე წარმოდგენა ვიქონიოთ მერმისზე, ახლო მომავალში არაფერს არ უნდა მოველოდეთ. ქადაღზე იქნება კონსტიტუცია, ნამდვილზე კი ძველი წყობილება ახალის მუხრუჭებით.

რა გზას უნდა დაადგეს ამ პირობებში ქართველი ხალხი?

პასუხს შემდეგ ნომერში მოგვეცემს.



# ქართული სამართლის ისტორია

## თავი II.

ქართულ სამართლის უმთავრესი ტერმინები.

ამგვარად თუშცა „განგება“ მნიშვნელობით „წეს“-ს მიაგავს, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „წესი“ განსაკუთრებით მართვა-გამგეობის დებულებასა და რიგს ერქვა, „განგება“-ს კი ამას გარდა თვით მართვისა და მოწესრიგების მოქმედებასაც აღნიშნავდა.

კანონებისა და წესის შემოღებას ბევრი სხვადასხვა ნაირი სახელი აქვს ქართულად, მაგალითად: „დასკმა კანონთა“ (ძეგლის წერა, ქრონიკები II, 59); „განწესება“ (ibid. 59, 65, 67, 68, 69, 70, 71, 72), რომელიც მეექვსე მსოფლიო კრების ეთაგმეს თარგმანში ბერძნულ დედნის „*επιταγή*“ და „*επιταγή*“-ს („*პოლიტიკა*“, „დავით აღმაშენებლის“ უღრის (შეადარე მუხ. 63, 64, 65, 66, 67, 68, 69); „განსაზღვრა“ (ძეგლის წერა, ქრონიკები II, 64) და „განჩანება“ (ibid. 64, 59).

ვიდრე თვით ქართულ სამართლის ისტორიის შესწავლას შეუდგებოდეთ, თავდაპირველად საჭიროა მოკლედ მაინც მოვიხსენიოთ, თუ რა ფილოსოფიური შეხედულება სლავებმა მანძილელ ქართულს განათლებულს საზოგადოებაში მსოფლიოსა და ადამიანის ბუნებისა და თვისებების შესახებ. სა-



შუალო საუკუნოებში ქართველების წარმოდგენით მსოფლიო ორ მთავარ ნაწილად იყო დაყოფილი: „ხალხულ და უხალაჯ სოფლად“ (ძეგლის წერა, ქრ. კბი 11, 5'); პირველს ეკუთვნოდა ყველფერი, რაც-კი „საჯანჯურ“ და გრძობადია ბუნებათა“ მფლობელი იყო, მეორეს რასაც კი „ზესთასოფლისა ძაღთა ბუნება“ ჰქონდა (ibid.). ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანი ამ ორისავე „სოფლის“, „ყოფლისავე აქებულისა ბუნებისა შ. მამრთებელი იყო (ibid 56 და 60): მას ჰქონდა „საცნაურ და გრძობად ბუნების“ მექონე სხეული და უხილავი, „ზესთასოფლისა ძაღთა“ ბუნ. ბოგნი სული (ibid).

ამგვარად იგი იყო ვითარცა პატრა მსოფლიო („მიკროკოსმოსი“) დიდს მსოფლიოში („მაკროკოსმოსი“). კაცის ბუნების შინაგანი აგებულება განხილული და განმარტებული ჰქონდა ბერძნულ მწერლობაში გრიგოლ ნოსელს თავის წერილში „Περὶ κατὰστασης ἀνθρώπου“ „ბერი კატასტეუს ანთროპუ“, რომელიც ლათინურადაც იყო ნათარგმნი VI საუკუნეში (ორივე ტექსტი დაბეჭდილია Migne Patr. graeca) ეს თხზულება უკვე IX-X საუკ. ქართულადაც საუცხოვოდ გადმოუთარგმნიათ და დიდი სახელიცა ჰქონია ჩვენს მწერლობაში მოხვეჭილი. ამ წერილს ეძახდნენ „კაცისა შესაქმე“, ხოლო მისი § 30 შეეხება „ასოთა გუამთა კაცთასა დაბადებასა“. ეს თხზულება გამოსცა ბ. მ. ჯანაშვილმა ავტორის სახელის დაუსახელებლად და იმის აღუნიშვნელად, რომ ეს ნაწარმოები თარგმანია და არა ქართული ორიგინალური გამოკვლევა. (გამოსცა თავის კრებულში „მწერლობა მე-IX-X საუკუნისა“ ტფილისი, 1891 წ.) გრიგოლ ნოსელის თხზულება დამყარებულია ძველ ბერძნულ ფილოსოფიურსა და საბუნების-მეტყველო მწერლობაზე; მისი აზრები ქართულმა მწერლობამაც შეითვისა და მთელ საშუალო საუკუნოების განმავლობაში უტყუარ ქეშმარიტებად ჰქონდა მიმცნული. გრიგოლ ნოსელის შეხედულებით, რომელიც ამასთანავე მთელ განათლებულ საზოგადოების შეხედულება იყო საშუალო საუკუნოებში როგორც დასავლეთს ევროპაში, ისე აღმოსმვლეთშიაც, სახელდობრ არაბეთსა და სპარსეთში,—ადამიანის ბუნებაში მსოფლიოს სტეკიონები სუფევდნენ: „ცხად არს ყოველთათვის, ამბობს ავტორი, ვითარმედ ბუნებასა შინა ჩუენთასა პოვნილ არიან სტეკისნი ამის სოფლოსანი“ (გვ. 94); ამ სტეკიონებად მას მიაჩნდა „სიტყოა“ „ყინელი“ „ნოტიოა“ და „სიქმელი“ (ibid) ამათს ზომიერს შეზავებაზე იყო ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებული, ისინი „არიან ძალნი, რომელნი განაგებენ სიცოცხლესა“ (ibid.). ამას გარდა კაცის სხეულის ყველა ასოები სამ უმთავრეს მიზნისათვის არსებობენო: „რომელნიმე სიცოცხლისათს“—ამ ასოთა ჯგუფს ეკუთვნიან თავი, გული და ღვიძლი,—რომელნი-

მე სიმდიდრისათს სიცოცხლისა“—ამ ასოთა ჯგუფს შეადგენს ის „ქურჭერი, რომელსა შინა არიან საგრძობელინი“. ამ ასოთა ქონება ადამიანს სიცოცხლისათვის არა სჭირია, „რამეთუ თვნიერ ამათსაცა შესაძლებელ არს ცხოვრება ჩუენი,“ მაგრამ მაშინ „ცხოვრება ჩუენი გემოაფნებითი“ არ იქნებოდა. ასოთა მესამე ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, რომლისაგან „იქმნების დადგრომა შევიერიებისა და დამტკიცება ნათესავობისა“ (ibid 92). როგორც აღნიშნული იყო, იმ ასოთა ჯგუფში, რომელნიც კაცს სიცოცხლეს ანიჭებენ თავიც ითვლებოდა; ხოლო უმთავრესად ტვინი, იგი „არს მიზეზი სიცოცხლისა“ (ibid 99); ეს იმითა მტკიცდება, რომ „ოდეს იგი ეცის რაჟმე აკასა ტვინისასა წყულულება, მსწრაფლ მოიწიის სიკვდილი“ (ibid); ამიტომ „ქეშმარიტად ტვინი არს მომცემელი სიცოცხლისა“ (ibid). ამავე დროს „აკაჲ თავისაჲ“ არის სწორედ, რომელზედაც ადამიანის სახსრებისა, კუნთებისა და სხეულის მოძრაობა დამოკიდებულია, ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, „რომლისაგან არს ძრვაჲ ყოველთა იოგთაჲ შეოქვაჲ და განმარტება ლართაჲ, რომელი ძრავს ყოველთა ასოთა გუამისათა“ (ibid 108). ამგვარად ადამიანი სულდგმული, მოძრავი, თავისუფალი არსებაა, „არს კაცის ჭური თვთმოდრავი სულითა კელმწიფეჲ ნებასა თვისაჲ“ (ibid, 97). სულდგმულ არსებად მარტო ადამიანი არ ითვლებოდა: ყველაფერს, „რომელსა აქენდას ნაწილი ცხოველებსა და ძრასაჲ, ანა ერქუემის მას უსულოა“ (ibid 115), როგორც მაგალითად „მცენარებაჲ მოზარდთათვის ვიტყვით, ვითარმედ „ცხოველ ანანს“, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი ნაკლი აქვთ, სახელდობრ „ვერ მიწვენულ [არიან] საქმესა გრძობისასა“ (ibid). ამგვარადვე ავტორი ამტკიცებს, რომ „ზარტყუთა შინა ანს სული პარტყუებრა მგრძობებაჲ“, მხოლოდ იგი „გერ მ.წეგნილ ანს სისრულესა, რომელ არს მადლი მეტყუელი და გულის ხვის მყოფელი“ (ibid. 115—116). ერთი სიტყვით ყველა ცოცხალი არსებანი ერთისა და იმავე სულის პატრონები არიან, მხოლოდ სხვა-და-სხვა სახით წარმოდგენილისო. იმის დასამტკიცებლად, რომ ერთისა და იმავე ადამიანის სულიერი თვისება შეიძლება სხვა-და-სხვა სახით გამოიხატოს, თუმც მისი სული ერთი და იგივე რჩება, ავტორს პავლე მოციქულის აზრი მოჰყავს, რომელიც მან თავის ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ გამოსთქვა: „ოდეს ყრმა ვიყავ, ვიტყოდი ვითარ ყრმაჲ, ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევე სიყრმისაჲ იგი“ (ibid 115); ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სული-კი არ იცვლება, არამედ მისი გამოსახულება, „რამეთუ ანა სხუაჲ სული ანს ყრმისაჲ და სხუაჲ მამაკაცისაჲ, ანამედ უსრულ ანს ერძასა შინა და სრულ მამაკაცსა ში-



ნაო“ (ibid. 115). ადამიანის სულიერი ბუნება უსრულობისაგან სისრულეს აღწევს, ანუ როგორც ავტორი ამბობს: „გამოთლად ბუნებისა მის ჩუენისა სულისა—არს ზარგელად დაწეებად უსრულად, განსრულებას—სრულ“ (ibid. 114). ერთს დროს კაცი „იყოცა სრულ“, მაგრამ ადამის ცოდვის გამო კაცობრიობის სულიერი ბუნება „დაბრკოლად მდლისა მისგან სრულისაო“ (ibid), ხოლო მას შემდგომ მართო თანდათანობითი განვითარებითა და მოღვაწეობით ღვთაების შეწევნით ადამიანმა კვლავ სულიერს სისრულეს მიაღწია და „შრომითა და მოგზავრობით მიმავალი სული კაცისა მსხვე სისრულესა“ ელირსაო (ibid 114—115), ასე აქვს წარმოდგენილი გრიგოლ ნოსელს ადამიანის სულიერ განვითარების სრბოლა.

შემოქმედმა პირველს ადამიანს და მის ჩამომავლობას „ნიეთად თვთმფლობელისა“ მისცა „სჯული“ (ძველის წერა, ქრკზი II, 56 და 60); ეს იყო „ბუნებითი სჯული“ (ibid. 57 და 61)\*; მაგრამ რაკი უკვე პირველმა ადამიანმა მიცემული ბუნებითი სჯული დაარღვია და „წინა-უკომოდ საღთოხსა ნებისა იკუმი“ (ibid. 56) და შემდეგ-შიაც ვერც შეუქმედის მრავალგვარ სასჯელმა მოაქცია კაცობრიობა სწორე და წესიერ გზისკენ, ამიტომ ღმერთმა მოსე წინასწარმეტყველის ხელით „დაწერილი სჯული“ (ibid. 57 და 61) მისცა; ეს იყო „სჯული წიგნისა“ (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ქრკზი II, 105). ერთი სიტყვით იმ დროინდელ შეხედულების თანახმად ჩვენ კაცობრიობას „მოგტენეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული“ (ძველის წერა, ქრკზი II, 61).

მაგრამ კაცობრიობას ვერც მოსეს ჩაწერილმა სჯულმა უშველა: „ვერცა ერთი რაჲ... შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებად (ადამიანისა), გინა თუ მტანჯველობითა და საშინელებათა, ანუ ქველისმოქმედებითა სიტკბოებათაგან“; (ibid. 57) კაცობრიობის განსაკურნებლად საჭირო იყო ღვთის განკაცება, რომელმაც „წიგნის სჯულის“ მაგიერ ისევ „ბუნებითი სჯული დაამკვიდრა, მაგრამ ეს იყო „ახალი ბუნებითი სჯული“ (დთ აღმაშენებლის სინანული, ქრონიკები, II, 105). რომ ადამიანის ბუნება განსპეჯაკებულყო და „თანამოქალაქე მყენეს წმიდათა და სახლეულთისა“ (ძველის წერა. ibid. 61) სხვათა შორის „ამისთვის იქმნეს... მეფეთა მიერ ჟამად-ჟამადი კრებანი ღვთის მოყურეთა ეპისკოპოსთა და ღვთის სათნო ყოფილთა მამათანი“ (ibid.); ეს კანონმდებლობა ადამიანის სულიერ მხარეს შეეხებოდა,

ხოლო რაკი ხორციელი სამოქალაქო საქმეები მეფეებს ეკითხებოდათ იმიტომ, რომ გრიგოლ ხანძთელის სიტყვით „კლემწიფენი უფალ ჰყენა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა (ცა გვლ ხქმ, იე), ამიტომ საერო, სახეომწიფო მართვა-გამგეობის წესი და სამართალი მათგან მომდინარეობდა.

სამოსამართლო კანონმდებლობა ძველ საქართველოში ორ დარგად იყო გაყოფილი. გიორგი მე-V-ე ბრწყინვალე „ძველის დადების“ შესავალში თითონვე აღნიშნავს: „ეს განაჩენი დავდევით,—სასჯულთა საქმე და საეკლესიო, რისაც გინდა სასაქმოსა: კაცის მკულელთა, ეკლესიის მკრებელთა, ცოლის დამდებელთა უბრალოსათა, ანუ წამგვრელთა სხვათაგან, სხვა რაც სასჯულთა საკითხავი იყოს, იგი კათალიკოზმან და მათ განაჩენთა მათ ზედა ეპისკოპოსთა მათ კითხონ,—ჩვენ მსოფლიოსა ამის სისხლი, ზაჯავა და სასაქმო გავგიჩინა“ (პეტერ. სამეცნიერო აკადემიის წიგნ-საცავის ხელნაწ. № 99). მაშასადამე ერთს დარგს შეადგენდა, სასჯულთა-საეკლესიო სასაქმო ანუ საკითხავი“, მეორეს „მსოფლიოს საკითხავი“, ანუ საეკლესიო და საერო-სამოქალაქო სამართალი. საერო სამართალი როგორც ეტყობა შეიცავდა სამს ნაწილს: ერთი იყო „სისხლი“ ანუ სისხლის სამართალი, მეორე იყო პატივი“ ანუ სახელმწიფო-სამოხელეო სამართალი და მესამე „სასაქმო“ ანუ სამოქალაქო სამართალი. ზემო ჩამოთვლილი „სასჯულთა-საეკლესიო“ საკითხავი თუმცა საეკლესიო საართლად ითვლებოდა, მაგრამ რასაკვირველია ამას გარდა საერო სამართალშიაც მათ შესახებ საჭირო კანონები მოიპოვებოდა; საეკლესიო სამართალი თავის მხრით მხოლოდ იმდენად სჯიდა, რამდენადაც სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მცნებანი შებლაღული იყო. სწორედ ამ სამართლის დარგებზე გვიჩვენა შევდევში საუბარი, მაგრამ ჩვენ საერო სამართლის გარდა აზრად გვაქვს, აგრედვე საეკლესიო სამართალსაც და საერთაშორისო სამართალსაც შევხვით. საჭიროდ მიმაჩნია აგრედვე აღნიშნო, რომ ამ გამოკვლევაში ყოველთვის ქართულს სამართალსა და წესზედაც იქნება ლაპარაკი. თვით გამოკვლევა „კარებად“ იქნება დაყოფილი და თავდაპირველად სახელმწიფო სამართლისა და წესის კარი“ იქნება, მერე „სამოქალაქო სამართლის კარი“, შემდეგ „სისხლის სამართალი“, „სასამართლოები და სასამართლოების წარმოება“, „საეკლესიო სამართალი“ და დასასრულ „საერთაშორისო დამოკიდებულებანი და სამართალი“. გამოკვლევა ისეა დაწერილი, რომ მხოლოდ ქართულ სამართლის ისტორიას შეეხება და სამართლის მეცნიერების უმთავრესი და საზოგადო დებულებანი განსაკუთრებით განმარტებული არ არის,—მკითხველმა თითონ უნდა იცოდეს.

ა. ჯავახიშვილი.

\*) ამგვარი შეხედულება დასავლეთის ევროპაშიაც არსებობდა; იხ. H. G'cken. Geschich d. System d. mittelalt Weltanschauung, 1887 წ. 83. 548—549.



# ბაირონიდან.

როგორც საფლავის წარწერამ მგზავრი  
 წუთის შეაჩეროს გზას მიმავალი,  
 ისე ამ ლექსმა, გულისა სატრფოვ,  
 ყურადღებისა მოგტაცოს თვალი.  
 და, თუ ოდესმე ამოიკითხო,  
 რას ოცნებობდა პოეტის სული,  
 და მოიგონო, თუ ვით უყვარდი,  
 ვით შემოგფიცა მან სიყვარული, —  
 იცოდე, რომ ის ეხლა მკვდარია  
 და აქ მპარხია იმისი გული.

ი. მჭედლიშვილი.



# ნარევი

## როდის გაივსება დედამიწა?

ძნელი სათქმელია, როდის გაივსება და გაიჭედება დედამიწა ხალხით. ერთმა ინგლისელმა ეკონომისტმა რავენ-შტეინმა ასეთი ანგარიში მოახდინა.

ამ წამათ მთელ დედამიწის ზურგზე ცხოვრობს 1467 მილიონი სული. თითო ოთხკუთხ ინგლისურ მილზე წოდის 31 სული. მთელ დედამიწის ზურგზე ითვლება 46350000 ათასი ოთხკუთხი მილი, აქედნ 28000000 ათასი გამოსადეგარია საცხოვრებლათ, 14000000 ათასი ვაშლილი მინდორია და 4000000 ათასი კიდე უდაზნოა.

რავენშტეინის ანგარიშით თითო ოთხკუთხ მილს შეუძლია გამოაჭევიხოს საშუალოთ 207 სული, მაშასადამე, ჩვენს დედამიწას შეუძლია აცხოვროს, სულ ბევრი, 5994 მილიონი სული. მცხოვრებთა რიცხვს ემატება ყოველ ათ წელიწადში ევროპაში 8, 7 თითო ასეულზე, აზიაში 6, აფრიკაში, 10, ავსტრალიაში 3, ჩრდილოეთ ამერიკაში 20 და სამხრეთ ამერიკაში 15, ე. ი. საშუალოთ მთელ კაცობრიობას ემატება 8 სული ყოველ ას სულზე. მაშასადამე 163 წლის შემდეგ, ე. ი. 2072 წელს მთელი დედამიწა გაიჭედებოდა ხალხით.

ანგარიში კი სწორია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასი წლის წინათ არავინ დაიჯერებდა. რომ ერთ ინგლისურ მილს მიწას შეუძლიან 200 სულზე მეტი შეინახოს; და ჩვენთვის კი, პირიქით, დაუჯერებელია, რომ 200 სულზე მეტი ვერ შეინახოს. თუ კაცს გაუჭირდება, იტყვიან ხოლმე ქართველები, ქვას გასწურავს და იმის წვენი იცხოვრებსო.

## დანიშნულთა ხელშეკრულობა.

ამერიკელები ცოლ-ქმრობაშიც კი პირობასა და ხელწერილს უფრო აფასებენ ვიდრე სიყვარულსა და ნდობას.

ვინმე ახალგაზნდა ქალს მადელს ჯონს თავის დანიშნულისთვის ასეთი ხელწერილი ჩამოუერთმევია:

1) მე, ჯორჯ მითი სმივალე ვარ, მივიღებ თუ არა ჩემს ჯამაგირს, პირდაპირ სახლში წავიდე, გზაზე არავის გამოველაპარაკო და მთელი ჯამაგირი სულ მთლათ ჩემს ცოლს ჩაეზარო.

2) მოვალე ვარ ყოველ საღამოს ცხრა საათზე გვიან არ დაებრუნდე, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ის საღამო, როცა ჩემი ცოლი ჩემთან ერთათ იქნება.

3) მოვალე ვარ არც თუთუნი მოვწიო და არც რაიმე მაგარი სასმელი დავლიო; ჩემი ცოლის დედამამს პატივისცემითა და ზრდილობით მოვექცე და არაფრით ყვეყნინო.

ეს ხელშეკრულობა 37 მუხლს შეიცავს. ყველგან მხოლოდ საწყალ შმიტზეა ლაპარაკი, მისი ცოლი კი არაფერ პირობას არ უდებს თავის ქმარს და არავითარ მოვალეობით არ იბოჰავს თავს.

— რა ბედნიერები ყოფილან ამერიკელი ქალებიო, იტყვიან შურით ჩვენებური ქალები.

## კოხის მორჩენა.

დღემდის კოხის მორჩენა შეუძლებელ საქმეთ იყო მიჩნეული. ეხლა კი ექიმებს იმედი მიეცათ ამ საზინელ სევის მორჩენისა

ამერიკაში ერთმა ექიმმა ასე მოარჩინა ერთი ავთომყოფი, რომელსაც ზურგზე ჰქონდა საზარელი იარა. ავთომყოფის დღე ბი დათელილი იყო, ამიტომ მან ბედის ცლა მოინდომა. იგი ცნობილ ექიმ სიმსონთან მივიდა და უთხრა, თუნდ ყელი ვამომჭერთ, ოღონდ სცადეთ ჩემი მორჩენაო. ექიმმა ავთომყოფი დააწვინა და იმოდენა სისხლი გამოუშვა, რომ იგი თუთრ ქალაღს დაემსგავსა. მას ტანში იმდენი სისხლია შერჩა, რამდენიც საჭირო იყო ორგანიზმისთვის. ავთომყოფი დასუსტდა, მაგრამ ნელ-ნელა მოკეთდა, ახალი სისხლი შეიძინა და რამდენიმე კვირის შემდეგ ფეხზე წამოღვა. კოხი (კუ) აღარსად იყო.

ექიმმა ასე ახსნა თვისი ოპერაცია და ის აზრი რითაც ხელმძღვანელობდა როცა ავთომყოფს სისხლს უშვებდა. იმის იმედით ავთომყოფის ჯანსაღი კანი უფრო გამძლე უნდა ყოფილიყო აკათმყოფ ხორცზე, რომელიც კარგის სისხლით იკვებებოდა. ამიტომ, მოისახრა მან, ამ ბაცილებს რომ ფესვი მოეშორა, ე. ი. სისხლი აღარ მიეწოდო, ისინი უფრო აღრე მოისპობიან ვიდრე სისხლისგან დაცლილი ორგანიზმი დაიშლებოდეს, ასეთმა მოულოდნელმა და სახიფათო ცდამ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო.

თუ იმ ბედნიერ ავთომყოფის მორჩენა უბრალო შემთხვევა არ იყო და გამონაკლისს არ შეადგენდა, სიმსონის აღმორჩენა უდიდეს სარგებლობას მოუტანს კაცობრიობას.

## სახიფათო მგზავრობა.

ერთ რუმინელს, ვინმე ასულესკოს ბავშობიდანვე ერთი აზრი და მიზანი ჰქონდა—პარიზის ნახვა. ეს სურვილი მას ოცნებათ გადაექცა, მაგრამ პისი განზორციელება ვერასგუსთ ვერ მოახერხა. ბევრი ეწვალა თურმე ეს კაცი, ბევრი იმუშავა, ბევრი ააროვა, მაგრამ მინიც ვერ მოახერხა გზის ფულის შეგროვება. ბოლოს იმედი დაეკარგა მშვიდობიან მგზავრობისა, პარიზის ნახვის სურვილმა კი უარესათ იმატა. ახირებულმა ასულესკომ არც აცივა, არც აცხელა, ფეხით ჩავიდა ბუდაპესტში, მოუცადა სტამბოლიდან პარიზში მიმავალ ექსპრესის მატარებელს, ჩუმთ შეძერა ერთ ვაგონის ქვეშ და რკინის ღერძზე მიიკრა თავი. მატარებელი დაიძრა. სრული ორი დღე და ღამე მიჰქროდა იგი საშინელის სისწრაფით და მხოლოდ დიდ ქალაქებში ჩერდებოდა, ისიც რამდენიმე წუთით. ბოლოს მატარებელი პარიზში ჩავიდა და ასულესკოც გამოძერა ვაგონის ქვეშიდან, მაგრამ—წყალმა ნაპირში იცის დახრობაო—მოხელეებმა თვალი მოჭერეს, ბილეთი მოსთხოვეს, გაიგეს მისი თავგადასავალი და სამართალში მისცეს. მოსამართლემ ერთი თუმნით დააჯარიმა ახირებული მგზავრი.

რედაქტორ-გამომცემელი სვ. ყიფიანი.